



სს „თელასი“



წლიური ანგარიში 2015

## სააქციო საზოგადოება „თელასი“

დამტკიცებულია:

სს „თელასის“ აქციონერთ საერთო კრების მიერ  
2016 წ. 20 მაისს  
2016 წ. 20 მაისის ოქმი

წინასწარ დამტკიცებულია:

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ  
2016 წლის 20 აპრილის ოქმი 155

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

\_\_\_\_\_ დ.ე. ვოლკოვი

## წლიური ანგარიში 2015 წლის განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით

გენერალური დირექტორი

ს.ნ. კობცევი

ფინანსური დირექტორი

ა.ლ. ბალჩუგოვი

## სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2015

### შინაარსი

	გვ.
I. ძირითადი მოვლენები .....	4
II. სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და გენერალური დირექტორის მიმართვა .....	6
III. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით განვითარების შედეგების შესახებ .....	9
IV. საზოგადოების მდგომარეობა დარგში: ბაზარი, მარკეტინგი, გაყიდვები .....	10
V. ინფორმაცია ენერგეტიკული რესურსების გამოყენების მოცულობის შესახებ....	12
VI. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები. საწარმოო საქმიანობა .....	12
ფინანსური მაჩვენებლები.....	12
აქტივების სტრუქტურის ანალიზი და დინამიკა.....	15
საზოგადოების საქმიანობის საწარმოო მაჩვენებლები.....	17
ელექტრული ქსელების დახასიათება.....	19
ავარიულობა. ტექნოლოგიური დარღვევები.....	20
ტექნიკური ზედამხედველობა.....	20
სს „თელასის“ ქსელზე ტექნოლოგიური მიერთებები 2014-2015 წწ.	21
საქმიანობა რემონტების დარგში.....	22
ელექტრულ ქსელებში ელექტროენერჯის დანაკარგები.....	23
VII. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები .....	23
VIII. საინვესტიციო საქმიანობა .....	24
IX. საქმიანობა შესყიდვების დარგში.....	25
X. საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების ძირითადი ფაქტორების აღწერილობა.....	27
I. ანგარიში საზოგადოების აქციების მიხედვით გამოცხადებული (დარიცხული) დივიდენდების გადახდის შესახებ .....	29
XII. საზოგადოების სააქციო კაპიტალის სტრუქტურა.....	30
XIII. კორპორაციული მართვა. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა .....	31
XIV. საზოგადოების გენერალური დირექტორი .....	33
XV. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების გასამრჯელოს განსაზღვრის კრიტერიუმები და ოდენობა 2015 წ. ....	33
XVI. საზოგადოების კონტროლის შიდა სისტემის დახასიათება.....	34
XVII. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.....	37
XVIII. გარემოს დაცვა.....	39
XIX. ცნობები და ინტერესების საფუძველზე დადებული გარიგებების და საანგარიშო წელში საზოგადოების მიერ დადებული მსხვილი გარიგებების შესახებ.....	39
XX. ცნობები საზოგადოების მიერ კორპორაციული მართვის კოდექსის დაცვის	39

## სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2015

შესახებ .....	
<b>XXI. ცნობები საზოგადოების წმინდა აქტივების მდგომარეობის შესახებ .....</b>	<b>39</b>
<b>XXII. დამატებითი ინფორმაცია აქციონერებისათვის .....</b>	<b>40</b>
<b>XXIII. დანართი 1 – (კონსოლიდირებული/არაკონსოლიდირებული) ფინანსური და ბუღალტრული ანგარიშგება 2015 წ. ....</b>	
<b>XXIV. დანართი 2 - ანგარიში საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს დავალებების შესრულების შესახებ 2015 წ. ....</b>	<b>41</b>
<b>XXV. დანართი 3 - ინფორმაცია სს „თელასის“ არაპროფილური აქტივების რეალიზაციის შესახებ 2015 წ.....</b>	<b>46</b>

## სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2015

### I. ძირითადი მოვლენები

<b>20 მარტი</b>	გაიხსნა სს „თელასის“ აბონენტთა მომსახურების ახალი ოფისი ტაბახმელაში.
<b>14 აპრილი</b>	გაიხსნა სს „თელასის“ აბონენტთა მომსახურების ახალი ოფისი წყნეთში.
<b>22 მაისი</b>	ჩატარდა საზოგადოების აქციონერთა წლიური საერთო კრება, რომელზეც: <ul style="list-style-type: none"> <li>- დამტკიცდა წლიური ანგარიში, წლიური ფინანსური ანგარიშგება, საზოგადოების მოგების განაწილება 2014 წლის შედეგების მიხედვით;</li> <li>- მიღებული იქნა გადაწყვეტილება დივიდენდების გადახდის შესახებ საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების მიხედვით, 2014 წლის შედეგების თანახმად, 8 802 000 (რვა მილიონ რვაას ორი ათასის) ოდენობით ფულადი ფორმით;</li> <li>- სს „თელასის“ 2015 წლის აუდიტის განმახორციელებელ ორგანიზაციად დამტკიცებული იქნა კომპანია EY Georgia LLC;</li> <li>- არჩეული იქნა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო ახალი შემადგენლობით.</li> </ul>
<b>08 ივლისი</b>	სს „თელასში“ დასრულდა ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის დანერგვა, ISO 14001:2004 შესაბამისად. საერთაშორისო კომპანიის InterTek მიერ აუდიტის წარმატებული დასრულების შემდეგ, სს „თელასმა“ საქართველოში ელექტროგამანაწილებელ კომპანიებს შორის პირველმა მიიღო საერთაშორისო სერტიფიკატი ეკოლოგიის მიმართულებით ISO 14001:2004.
<b>25-31 ივლისი</b>	სს „თელასმა“ უზრუნველყო ელექტროენერჯის უწყვეტი მიწოდება ევროპის მე-13 ახალგაზრდული ოლიმპიური საზაფხულო ფესტივალისათვის, რომელიც ჩატარდა ქ. თბილისში.
<b>3 სექტემბერი</b>	საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის (სემეკი) 26 დადგენილებით, 03.09.2015, შეტანილი იქნა ცვლილებები სემეკ-ის 33 დადგენილებაში, 04.12.2008წ. „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“. აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, სს „თელასისათვის“ დადგინდა ელექტროენერჯის განაწილების, გატარების და მოხმარების

## სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2015

	ახალი ტარიფები.
<b>15 სექტემბერი</b>	გაიხსნა სს „თელასის“ ახალი ბიზნეს-ცენტრი „ვარკეთილი“.
<b>08 ოქტომბერი</b>	დასრულდა ქვესადგურიდან „თეც“ გამომავალი ორი ცენტრალური გამანაწილებელი პუნქტის (ცგპ) 6000 და 6025 მოდერნიზაციის სამუშაოები. აღნიშნული ქვესადგური უზრუნველყოფს 25 300 აბონენტის ელექტრომომარაგებას, მათ შორის საქართველოს პარლამენტის, სახელმწიფო კანცელარიის და ქ. თბილისის სამედიცინო დაწესებულებების ჩათვლით.
<b>08 ოქტომბერი</b>	ჩატარდა მრგვალი მაგიდა „საქართველოში ენერგეტიკული სექტორის განვითარების პერსპექტივები“, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, სსს „ინტერ რაო“-ს წარმომადგენლების, სს „თელასის“ გენერალური დირექტორის, ქართული და რუსული მასმედიის წარმომადგენელთა მონაწილეობით.
<b>13 ნოემბერი</b>	კომპანია „თელასის“ მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დაიწყო „SMS“-შეტყობინებების სერვისის გამოყენება.

## II. სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და გენერალური დირექტორის მიმართვა

ძვირფასო აქციონერებო,

წარმოგიდგინთ სს „თელასის“ 2015 წლის წლიურ ანგარიშს - ამ რთული, მაგრამ ჩვენი კომპანიისათვის წარმატებული, წლის მოვლენების მოკლე მიმოხილვას. გარწმუნებთ, რომ საზოგადოების კოლექტივმა და მენეჯმენტმა შეასრულეს დასახული ამოცანები პრაქტიკულად საქმიანობის ყველა მიმართულების.

სს „თელასი“ საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი ქსელური კომპანიაა, რომელიც ახორციელებს ელექტროენერჯის განაწილებას და გასაღებას ქ. თბილისში. სს „თელასის“ საქმიანობის ძირითადი სახეობებია ელექტროენერჯის შესყიდვა და გაყიდვა; ელექტრული ქსელების მომსახურება და ექსპლუატაცია; ელექტროენერჯის ტრანზიტის მომსახურება; აბონენტების ტექნიკური მომსახურება; ქ. თბილისში ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების და დასუფთავების ერთიანი ინტეგრირებული სისტემის ადმინისტრირება.

ამჟამად, თბილისში ელექტროენერჯის ყოველწლიური მოხმარება შეადგენს 2 მლრდ კვტ/სთ-ზე მეტს. 2015 წლის განმავლობაში კომპანიის კერძო და კომერციული მომხმარებლების რიცხვი გაიზარდა 3% და შეადგინა დაახლოებით 560 ათასი მომხმარებელი.

2015 წელს საზოგადოების მუშაობის პრიორიტეტად რჩებოდა ისეთი საკითხების გადაწყვეტა, როგორებიცაა კომპანიის მუშაობის ეფექტურობის ამაღლება, მართვის სისტემის სრულყოფა, თანამედროვე მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა და მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა მიმართული იყო საზოგადოების სტაბილურობის, მომგებიანობის და საინვესტიციო მიმზიდველობის უზრუნველყოფაზე, ასევე აქციონერების ინტერესების დაცვაზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა მომხმარებელთა ელექტრომომარაგების ხარისხისა და საიმედოობის ამაღლებაზე. 2015 წელს ქვესადგურებში „ნავთლული-220“, „გლდან-220“ და „ვარკეთილი“ სს „თელასმა“ დახურული გამანაწილებელი მოწყობილობების (დგმ) რეკონსტრუქციის და მოდერნიზაციის პროექტები. ქვესადგურში „ორხევი“ განხორციელდა ღია გამანაწილებელი მოწყობილობების (დგმ) და მართვის პულტის მოდერნიზაცია. გარდა ამისა, ჩატარდა ქვესადგურიდან „თეცი“ გამომავალი ორი ცენტრალური გამანაწილებელი პუნქტის ცვპ №6000 და ცვპ 6025 მოდერნიზაციის სამუშაოები. აღნიშნული ქვესადგური უზრუნველყოფს 25 300 აბონენტის ელექტრომომარაგებას, მათ შორის საქართველოს პარლამენტის, სახელმწიფო კანცელარიის, სამედიცინო დაწესებულებების ჩათვლით. გარდა ამისა, გაყვანილი იქნა ახალი საკაბელო ტრასა ქვესადგურიდან „ბაგები“ დაბა წყნეთამდე. ადრე არსებული 12 კილომეტრიანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან, რაც ხდებოდა ელექტროენერჯის გათიშვის მიზეზი. აღნიშნულთან დაკავშირებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება ახალი საკაბელო ხაზის გაყვანის შესახებ, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა წყნეთის ელექტრომომარაგება. შვიდ ქვესადგურში ჩატარდა საჰაერო

ელექტროგადამცემი ხაზების სარელეო დაცვის რეაბილიტაციის სამუშაოები. განხორციელდა 41 გაცვეთილი საკაბელო ხაზის შეცვლა და გაყვანილი იქნა 38 ახალი სარეზერვო საკაბელო ხაზი, საერთო სიგრძით 47 კილომეტრი.

დიდი ყურადღება დაეთმო 2015-2016 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდს. შედეგად სს „თელასის“ საწარმოო აქტივები მოყვანილი იქნა სრულ მზადყოფნაში, რამაც უზრუნველყო ქსელის უწყვეტი ფუნქციონირება ენერგეტიკისათვის ამ რთული პერიოდის განმავლობაში.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს სს „თელასის“ კოლექტივის შეთანხმებული და პროფესიონალური მუშაობა თბილისში სტიქიური უბედურების დროს და ევროპის XIII ახალგაზრდული ოლიმპიური საზაფხულო ფესტივალის მიმდინარეობისას. სტიქიური უბედურების პერიოდში კომპანიის ტექნიკური პერსონალის თავდაუზოგავი მუშაობის შედეგად თავიდან იქნა აცილებული საზოგადოების ქსელში მრავალი დაზიანება, ასევე აღდგენითი სამუშაოები ჩატარდა რეკორდულად მოკლე ვადებში. რაც შეეხება ოლიმპიურ ფესტივალს ყველაფერი იქნა გაკეთებული ოლიმპიური ობიექტების უწყვეტი ელექტრომომარაგებისათვის.

2015 წელს ენერგოგასაღების დარგში საქმიანობის გასაუმჯობესებლად, სს „თელასმა“ დანერგა კომერციულ მომხმარებლებზე დეპოზიტის დარიცხვისა და ამოღების მექანიზმი სემეკ-ის 2008 წლის 18 სექტემბრის 20 დადგენილების „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესები“ საფუძველზე.

საანგარიშო წელში მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სს „თელასმა“ მთლიანად დაასრულა 2013 წელს დაწყებული სამუშაო - დედაქალაქის სხვადასხვა რაიონებში თანამედროვე ბიზნეს-ცენტრების გახსნის საშუალებით აბონენტების მომსახურების გაუმჯობესება. 2015 წელს გაიხსნა კომპანიის სამი განახლებული ბიზნეს-ცენტრი: „ტაბახმელა“, „წყნეთი“ და „ვარკეთილი“. ამჟამად, კომპანიის ათივე ბიზნეს-ცენტრი და მათი ფილიალები აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. გარდა ამისა, მომხმარებლებისათვის კომპანიამ აამოქმედა „SMS“-შეტყობინებების სერვისი, რომლის საშუალებითაც მათ შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია მოხმარებული ელექტროენერჯის, წყალმომარაგებისა და დასუფთავების დავალიანების, ასევე ელექტრომომარაგების გეგმიური შეზღუდვების შესახებ.

თავისი საქმიანობის განხორციელებისას, საზოგადოება უყურადღებოდ არ ტოვებს გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებს. 2015 წელს სს „თელასმა“ საქართველოს ელექტროგამანაწილებელ კომპანიებს შორის პირველმა მიიღო ეკოლოგიური მენეჯმენტის საერთაშორისო სერტიფიკატი ISO 14001:2004. სერტიფიკაცია ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის შესაბამისობა სტანდარტის ISO 14001 მოთხოვნებთან არის საწარმოს ეკოლოგიური ეფექტურობის, გარემოს დაცვისადმი მისი პასუხისმგებლური მიდგომის დადასტურება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიების შედეგად გაუმჯობესდა კომპანიის ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, თბილისის ელექტროქსელის ტექნიკური მდგომარეობა და აბონენტების მომსახურების ხარისხი.

საზოგადოების აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე 2015 წლის 22 მაისს, სს „თელასის“ არსებობის მანძილზე პირველად მიღებული იქნა გადაწყვეტილება დივიდენდების გადახდის შესახებ. სს „თელასის“ მიერ 2014 წელს მიღებული მოგებიდან გადახდილი იქნა დივიდენდები 8,8 მლნ ლარის ოდენობით.



## სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2015

2016 წელს კომპანია აპირებს გააგრძელოს მუშაობა ქსელის ტექნიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ახალი ტექნოლოგიების დასანერგად, მართვის სისტემის სრულყოფისათვის, აბონენტების მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად და ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ასამაღლებლად.

ვიმედოვნებთ, რომ საზოგადოების მენეჯმენტი და კოლექტივი 2016 წელშიც წარმატებით გაუმკლავდება დასახულ ამოცანებს.

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე  
დიმიტრი ევგენის ძე ვოლკოვი

სს „თელასის“ გენერალური დირექტორი  
სერგეი ნიკოლაის ძე კობცევი

### III. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით განვითარების შედეგების შესახებ

სს „თელასის“ საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- საბითუმო და საცალო ბაზრებზე ელექტროენერჯის შექმნა და რეალიზაცია;
- მომხმარებელთა ელექტროენერჯით საიმედო უზრუნველყოფა და ხარისხიანი ელექტრომომარაგება;
- საზოგადოების ქსელური ინფრასტრუქტურის მაქსიმალურად ეფექტური ორგანიზება;
- საზოგადოების პოტენციალის სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა;
- ელექტრომომარაგების საიმედოობისა და ხარისხის ამაღლება;
- საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლება;
- საზოგადოების ყველა აქციონერის ინტერესების დაცვა.

სამეთვალყურეო საბჭომ საზოგადოების განვითარების შედეგები 2015 წელს საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით წარმატებულად შეაფასა. საკუთარი საქმიანობის ამ პერიოდის განმავლობაში, სს „თელასმა“ შეძლო კომპანიის ფუნქციონირების უზრუნველყოფა წმინდა მოგებით 6, 571 ათასი ლარის ოდენობით.

სამეთვალყურეო საბჭო განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს აქციონერების უფლებების უზრუნველყოფაში, საზოგადოების განვითარების სტრატეგიის ფორმირებასა და რეალიზაციაში, ასევე მისი წარმატებული ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის უზრუნველყოფაში.

საანგარიშო წლის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა გამჭვირვალე იყო აქციონერთათვის, ვინაიდან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების ყველა ოქმი ხელმისაწვდომი იყო საზოგადოების ნებისმიერი აქციონერისათვის მოთხოვნისთანავე. უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წელს ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს 21 სხდომა, რომელზეც განხილული იქნა 67 საკითხი.

სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა ორგანიზებული იყო მუშაობის დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, მიმდინარეობდა გადაწყვეტილებების შესრულების რეგულარული კონტროლი. საანგარიშო პერიოდში შეუსრულებელი გადაწყვეტილებები არ არის.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მუშაობის შეფასებისას, უნდა აღინიშნოს, რომ ყველანი თავისი უფლებების განხორციელების და მოვალეობების შესრულების დროს მოქმედებდნენ საზოგადოების ინტერესების დაცვით, კეთილსინდისიერად და გონივრულად, აქტიურად მონაწილეობდნენ ყველა სხდომაში, რომელიც ტარდებოდა 100% დასწრებით.

მომდევნო წლებში სამეთვალყურეო საბჭო უპირველესად ყურადღებას დაუთმობს კორპორაციული მართვის ხარისხის გაუმჯობესების, კომპანიის მომგებიანობის ამაღლების, ასევე მომსახურების გასაღების ძირითად ბაზრებზე მდგრადი, საიმედო და კონკურენტუნარიანი პოლიტიკის საკითხებს.

#### IV. დარგში საზოგადოების მდგომარეობა: ბაზარი, მარკეტინგი, გაყიდვები

სს „თელასი“ ქ. თბილისში გასაღების უმსხვილესი ელექტროქსელური ორგანიზაციაა. სს „თელასი“ ელექტროენერგიას (სიმძლავრეს) ყიდულობს ელექტროენერგიის (სიმძლავრის) საბითუმო და საცალო ბაზრებზე ქ. თბილისის და ახლომდებარე სოფლების მომხმარებლების მომსახურების მიზნით. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი სახეობებია:

- ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვა;
- ელექტრული ქსელების მომსახურება და ექსპლუატაცია;
- ელექტროენერგიის ტრანზიტის მომსახურება;
- აბონენტების ტექნიკური მომსახურება;
- ქ. თბილისში ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების და დასუფთავების ერთიანი ინტეგრირებული და კოორდინირებული სისტემის ადმინისტრირება.

2015 წელს დარგის განვითარების საერთო ტენდენციებს სს „თელასი“ აფასებს, როგორც ზომიერად ოპტიმისტურად, რაც დაკავშირებულია საანგარიშო წელში მომხდარ შემდეგ მოვლენებს, რომლებმაც არსებითი ზეგავლენა მოახდინეს დარგზე:

- ქვეყანაში ელექტროენერგიის საერთო მოხმარების ზრდა;
- ინფლაციური პროცესები, რომლებიც დაკავშირებული იყო ეროვნული ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებასთან უცხოური ვალუტის მიმართ;
- თურქეთის მიმართულებით ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდა და თურქეთში ელექტროენერგიის ბაზარზე არასტაბილური ფასები;
- ქვეყანაში ენერგეტიკულ სექტორზე მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური ზეწოლა.

საზოგადოების განვითარების ტენდენცია საერთო დარგობრივი ტენდენციების ფონზე მნიშვნელოვნად უკეთესად გამოიყურება.

ძირითადი სავარაუდო ნეგატიური ფაქტორები, რომლებიც შეიძლება უახლოეს წლებში უარყოფითად აისახოს საზოგადოების განვითარების ტემპებზე, შემდეგია:

- ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის მორიგი გამწვავების დაწყება;
- ეროვნული ვალუტის მაღალი ვოლატილობა სარეზერვო ვალუტების მიმართ;
- არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა;
- დარგის მარეგულირებელი საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების ხშირი ცვლილებები.

საზოგადოების ძირითადი ამოცანაა უდანაკარგო საქმიანობის უზრუნველყოფა, მოგების და მდგრადი ფულადი ნაკადების მიღება. დარგში თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სს „თელასმა“ განახორციელა შემდეგი ზომები:

- ელექტროენერგეტიკის ბაზარზე სიტუაციის ანალიზი და პროგნოზირება;
- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, ბიზნეს-პროცესების, ამოცანებისა და მიზნების სრულყოფა, რომლებიც აკმაყოფილებს წარმატებული საქმიანობის ახალ მოთხოვნებს;
- სერვისული მომსახურების ჩამონათვალის გაფართოება, რაც ხელს უწყობს მომხმარებლების მომსახურების ხარისხის ამაღლებას;
- საინფორმაციო გახსნილობა, საოპერაციო და საწარმოო საქმიანობის სისტემის გამჭვირვალობა;

## სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2015

- ფინანსური კონტროლის გაძლიერება და დანახარჯების შემცირების პროგრამების დანერგვა;

- შესყიდვების, სამუშაოების და მომსახურების სფეროში კონკურენტული გარემოს ფორმირება.

აღნიშნული ღონისძიებების კომპლექსის რეალიზაცია საშუალებას მისცემს სს „თელასს“ შეინარჩუნოს ლიდერობა ელექტროენერჯის გასაღების ბაზარზე და ხელს შეუწყობს ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

ძირითადი სავარაუდო ფაქტორები, რომლებიც უახლოეს მომავალში შეიძლება აისახოს საზოგადოების განვითარების ტემპებზე შემდეგია:

- მომგებიანობის შემცირება;
- მომხმარებელთა ფინანსური მდგომარეობის გაუარესება და, შედეგად, გადახდისუნარიანობის გაუარესება.

აღნიშნული ნეგატიური ფაქტორების წარმოქმნის შემთხვევაში, რისკების შემცირების ხელშემწყობი ზომების სახით, სს „თელასის“ მართვის ორგანოებს განზრახული აქვთ შემდეგი ზომების გამოყენება:

- თავისი საქმიანობის დეტალური დაგეგმვა;
- კლიენტების გადახდისუნარიანობის კონტროლზე გეგმიური მუშაობა;
- ენერგოდამზოგი ღონისძიებების ეფექტურობის შეფასება, მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფებისათვის შესაბამისი მასალების (მოწყობილობების) გამოყენების ეკონომიკური მიზანშეწონილობის ანალიზის ჩათვლით.

დარგში საზოგადოების მდგომარეობაზე ზემოქმედებას ახდენს ასევე კონკურენტული გარემოს განვითარება. ქ. თბილისის ტერიტორიაზე სს „თელასის“ ძირითადი კონკურენტია - ქართულ-ჩეხური კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯია“ („Energo-ProGeorgia“-ს, ჩეხეთი, შვილობილი კომპანია).

ფაქტორების სახით, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს გასაღების ბაზარზე (პროდუქციის, მომსახურების) სს „თელასის“ კონკურენტუნარიანობაზე, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

- მომხმარებელთა მომსახურების ტერიტორიული, ორგანიზაციული და საინფორმაციო ხელმისაწვდომობის მაღალი დონე;
- ელექტროენერჯის ბაზარზე კომპანიის იმიჯი და ავტორიტეტი;
- ელექტრული ენერჯის აღრიცხვის მაღალორგანიზებული და გამჭვირვალე სტრუქტურა.

საზოგადოებას მომავალში თავისი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად დაგეგმილი აქვს შემდეგი მოქმედებები:

- მსხვილ საწარმოებთან მუშაობის სტრატეგიული დაგეგმვა;
- მომხმარებლებთან ურთიერთმოქმედების ფორმების სრულყოფა;
- მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის სრულყოფა;
- ენერგო-სერვისული მომსახურების ჩამონათვალის გაფართოება.

**V. ინფორმაცია ენერგეტიკული რესურსების გამოყენების მოცულობის შესახებ**

2015 წელს სს „თელასმა“ გამოიყენა ენერგეტიკული რესურსების შემდეგი სახეობები:

1	დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ღირებულება (ათასი ლარი)
1	2	3	4	5
1	ელექტროენერგია, სულ მათ შორის:	ათასი კვტ.სთ	2 511 865	313 247
1.1	- გასაყიდი	ათასი კვტ.სთ	2 273 477	308 499
1.2	- სატრანზიტო	ათასი კვტ.სთ	238 388	4 748
2	საავტომობილო ბენზინი	ათასი ლიტრი	(254.85)	(382.21)
2.1	ბენზინი „სუპერი“ (100006263)	ათასი ლიტრი	-	-
2.2	ბენზინი „პრემიუმ-ავანგარდი“ (100006264)	ათასი ლიტრი	(254.85)	(382.21)
3	დიზელის საწვავი „ვერო“ (100006265)	ათასი ლიტრი	(254.87)	(374.44)
4	სატრანსფორმატორო ზეთი (100003063)	კგ	(86.17)	(177.98)
5	სატრანსფორმატორო ზეთი (100005461)	კგ	(49.74)	(0.10)
6	სატრანსფორმატორო ზეთი NYTRO 11GX-(100008676)	კგ	(11.70)	(59.05)
	სულ	ათასი ლიტრი	(509.72)	(756.65)
		კგ	(147.61)	(237.12)

**VI. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები. საწარმოო საქმიანობა.**

**საზოგადოების საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები**

2015 წელს საზოგადოების ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება შემდეგნაირად არის შესაძლებელი:

ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები	2014 წელი	2015 წელი	% ცვლილებები
ამონაგები	275 841	313 247	14
სხვა შემოსავლები	11 923	14 671	23
შესყიდული ელექტროენერგია	(173 054)	(226 410)	31
მუშაკების ხელფასი და სხვა ანაზღაურებები	(56 120)	(52 063)	(7)

## სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2015

ცვეთა და ამორტიზაცია	(8 223)	(9 161)	11
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(1 430)	(2 409)	68
ფორმირებული და სტორნირებული რეზერვები, ნეტო	3 021	(4 915)	(263)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(16 150)	(16 948)	5
<b>საოპერაციო მოგება</b>	<b>35 808</b>	<b>16 012</b>	<b>(55)</b>
ფინანსური შემოსავლები	1 905	1 801	(5)
ფინანსური ხარჯები	(1 570)	(1 433)	(9)
ზარალი საკურსო სხვაობის შედეგად, ნეტო	(3 431)	(9 213)	169
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>	<b>32 712</b>	<b>7 167</b>	<b>(78)</b>
მოგების გადასახადის ხარჯები	(4 728)	(596)	(87)
<b>წლის მოგება</b>	<b>27 984</b>	<b>6 571</b>	<b>(76)</b>
<b>სხვა ერთობლივი შემოსავლები, რომლებიც არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას მომავალი პერიოდების მოგების ან ზარალის შემადგენლობაში</b>			
აქტუარული შემოსავლები/ზარალი დადგენილი გადახდების მქონე საპენსიო პროგრამის მიხედვით	(86)	223	(359)
ზეგავლენა მოგების გადასახადზე	13	(33)	(354)
<b>წლის სხვა ერთობლივი მოგება (ზარალი), დაბეგვრის დაქვითვით</b>	<b>(73)</b>	<b>190</b>	<b>(360)</b>
<b>სულ წლის ერთობლივი შემოსავლები</b>	<b>27 911</b>	<b>6 761</b>	<b>(76)</b>
აქციაზე საბაზო და შემცირებული მოგება	0.00025	0.00006	(76)

საზოგადოების საქმიანობის ძირითადი სახეობაა ელექტროენერჯის შესყიდვა და ქ. თბილისში (საქართველო) კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და საწარმოო მომხმარებლებზე განაწილება. საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

2015 წელს ელექტროენერჯის და ქსელური მომსახურების რეალიზაციის შედეგად მიღებულმა ამონაგებმა შეადგინა 313 247 ათასი ლარი, რაც 37 406 ათასი ლარით მეტია 2014 წელთან შედარებით.

ამონაგები 2015 წელს გაიზარდა შემდეგი ძირითადი ფაქტორების შედეგად:

1. კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე ელექტროენერჯის გაყიდვის მოცულობა გაიზარდა 9 046 ათასი ლარით.
2. კომერციულ და სამრეწველო მომხმარებლებზე ელექტროენერჯის გაყიდვების მოცულობა გაიზარდა 28 358 ათასი ლარით.
3. სახელმწიფო სექტორზე ელექტროენერჯის გაყიდვების მოცულობა გაიზარდა 2 908 ათასი ლარით.

ელექტროენერჯის შესყიდვისა და განაწილების გარდა, საზოგადოება უზრუნველყოფს ელექტროენერჯის ტრანზიტის მომსახურებას. ელექტროენერჯის ტრანზიტის შედეგად მიღებული ამონაგები წარმოადგენს მოსაკრებელს, რომელსაც კომპანია იღებს ელექტროენერჯის ტრანზიტისთვის, რომელსაც მომხმარებლები ყიდულობენ უშუალოდ მიმწოდებლებთან კომპანიის ქსელის საშუალებით. 2014 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 3 სექტემბრამდე პერიოდში ტრანზიტზე კომპანიისათვის სემეკ-ის მიერ დამტკიცებულმა

## სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2015

ტარიფმა შეადგინა 0,00206-დან 0,036 ლარი/მგვტ\*სთ-მდე. 2015 წლის 3 სექტემბრიდან, სემეკ-ის 26 დადგენილებით, ტრანზიტზე ტარიფები გაიზარდა და შეადგინა 0,00705-დან 0,05567 ლარი/მგვტ\*სთ-მდე. 2015 წ. ელექტროენერჯის ტრანზიტით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 4 748 ათასი ლარი.

2015 წელს წმინდა მოგებამ შეადგინა 6 571 ათასი ლარი, გეგმიურ წმინდა მოგებასთან შედარებით 2 259 ათასი ლარი.

### საზოგადოების ოპერაციული საქმიანობის შედეგების სტრუქტურა

მაჩვენებლები	ათასი ლარი		
	2014 წელი	2015 წელი	% ცვლილებები
<b>აქტივები</b>			
არასაბრუნავი აქტივები	163 611	185 480	13
საბრუნავი აქტივები	101 193	77 843	(23)
<b>სულ აქტივები</b>	<b>264 804</b>	<b>263 323</b>	<b>(1)</b>
<b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>			
<b>კაპიტალი</b>	<b>114 580</b>	<b>112 539</b>	<b>(2)</b>
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>			
პროცენტუანი კრედიტები, სესხები და თამასუქები	29 536	18 935	(36)
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	4 219	4 848	15
რეზერვები	-	3 092	-
ანაზღაურება შრომითი საქმიანობის დასრულებისას	1 120	1 016	(9)
სახელმწიფო სუბსიდიები	1 932	1 878	(3)
მომხმარებლებისაგან მიღებული აქტივები	113	74	(35)
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	<b>36 920</b>	<b>29 843</b>	<b>(19)</b>
<b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>			
პროცენტუანიკრედიტები, სესხები და თამასუქები	6 178	4 941	(20)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	81 757	89 717	10
მიღებული ავანსები	7 498	8 963	20
სახელმწიფო სუბსიდიები	429	447	4
ანაზღაურება შრომითი საქმიანობის დასრულებისას	53	64	21
დავალიანება სხვა გადასახადების მიხედვით	12 731	14 696	15
რეზერვები	4 658	2 094	(55)
გადასახდელი დივიდენდები	-	19	-
<b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>	<b>113 304</b>	<b>120 941</b>	<b>7</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>	<b>264 804</b>	<b>263 323</b>	<b>(1)</b>

საზოგადოების არასაბრუნავი აქტივები გაიზარდა 21 869 ათასი ლარით, ძირითადად, ძირითადი საშუალებების გაზრდის შედეგად.

## სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2015

საზოგადოების საბრუნავი აქტივები შემცირდა 23 350 ათასი ლარით, ძირითადად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირების გამო შემდეგი ფაქტორების შედეგად:

1. დივიდენდების გადახდა 8 783 ათასი ლარის ოდენობით;
2. შპს „მტკვარი ენერჯეტიკას“ ვადაგასული კრედიტორული დავალიანების დაფარვა 3 000 ათასი ლარის ოდენობით;
3. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კრედიტის ნაწილის ვადამდელი დაფარვა 14 795 ათასი ლარის ოდენობით (6 700 ათასი აშშ დოლარი).

კრედიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებული ვალდებულებები გაიზარდა ძირითადად შემდეგი ფაქტორების შედეგად:

1. Silk Road Holdings B.V. კრედიტორული დავალიანების ზრდა 3 374 ათასი ლარის ოდენობით, ძირითადად, ლარის აშშ დოლარის მიმართ გაცვლის კურსის ცვლილების შედეგად;
2. ელექტროენერჯის შესყიდვის, გადაცემის და დისპეტჩერიზაციის პირობითი დარიცხვის ზრდა 8 927 ათასი ლარის ოდენობით.

### საზოგადოების აქტივების სტრუქტურის ანალიზი და დინამიკა

2015 წლის ბოლოს სს „თელასის“ ერთობლივი აქტივების ღირებულებამ შეადგინა 263 323 ათასი ლარი. აბსოლუტურ გამოხატულებაში საანგარიშო წლის განმავლობაში აქტივების სიდიდე შემცირდა 1 481 ათასი ლარით, ძირითადად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირების ხარჯზე. 2015 წ. ბოლოს არასაბრუნავი აქტივების წილი გაიზარდა 21 869 ათასი ლარით, ძირითადად, ძირითადი საშუალებების ზრდის ხარჯზე და შეადგინა 185 480 ათასი ლარი, საბრუნავი აქტივების წილი შემცირდა 23 350 ათასი ლარით და შეადგინა 77 843 ათასი ლარი, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირების შედეგად.

#### საზოგადოების ლიკვიდურობის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	31.12.2014	31.12.2015
აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.35	0.13
სასწრაფო ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.80	0.57
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.89	0.64

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2015 წლის შედეგების მიხედვით შემცირდა 0,35-დან 0,13-მდე. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობა შეიცვალა, რაც განპირობებული იყო საზოგადოების ფულადი სახსრების შემცირებით. მოცემული ფაქტი გამოწვეულია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კრედიტის ნაწილის ვადამდელი დაფარვით 6 700 ათასი აშშ დოლარით (დაახლოებით 14 795 ათასი ლარი) და დივიდენდებზე მოგების ნაწილის განაწილებით 8 802 ათასი ლარის ოდენობით.



## სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2015

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სასწრაფო ლიკვიდურობის კოეფიციენტმა შეადგინა 0,57. მოცემული მაჩვენებლის შემცირება ასევე გამოწვეული იყო ფულადი სახსრების შემცირებით.

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი შემცირდა 0,89-დან 0,64-მდე. მოცემული მაჩვენებელი ახასიათებს საწარმოს უნარს განახორციელოს ანგარიშსწორება მიმდინარე ვალდებულებების შესაბამისად. მაჩვენებლის შემცირება ასევე განპირობებულია ფულადი სახსრების შემცირებით ევროპის რეკონსტრუქციის ბანკის კრედიტის ნაწილის ვადამდელი დაფარვის გამო 6 700 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (დაახლოებით 14 795 ათასი ლარი) და დივიდენდების ფორმით მოგების განაწილების გამო 8 802 ათასი ლარის ოდენობით.

### საზოგადოების რენტაბელობის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	31.12.2014	31.12.2015
გაყიდვების რენტაბელობა	12.2%	7.1%
საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE)	24.4%	5.8%
ერთიანი აქტივების რენტაბელობა (ROA)	10.5%	2.5%

გაყიდვების რენტაბელობის მაჩვენებლის შემცირება დაკავშირებულია საზოგადოების მიერ განხორციელებული გაყიდვებიდან მოგების მაჩვენებლების შემცირებასთან. საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის და ერთობლივი აქტივების რენტაბელობის მნიშვნელობის შემცირება დაკავშირებულია საზოგადოების წმინდა მოგების შემცირებასთან. 2015 წელს წმინდა მოგებამ შეადგინა 6 571 ათასი ლარი 2014 წელს 27 984 ათას ლართან შედარებით. მოგების შემცირება განპირობებულია ელექტროენერჯის შესყიდვაზე ტარიფების ზრდით და კურსების სხვაობის შედეგად მიღებული დიდი მოცულობის ზარალით.

### საზოგადოების ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	31.12.2014	31.12.2015
ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი	0.43	0.43
სასესხო და საკუთარი სახსრების ფარდობა	1.31	1.34

2015 წელს ბალანსის ვალუტაში საკუთარი კაპიტალის წილი (ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი) არ შეცვლილა და შეადგინა 0,43.

საზოგადოების სასესხო და საკუთარი კაპიტალის ფარდობა გაიზარდა და შეადგინა 1,34 (საკუთარი კაპიტალის ერთ ლარზე მოდის სასესხო კაპიტალის ერთი ლარი და 34 თეთრი), სს „თელასის“ აქციონერების გადაწყვეტილებით მოგების ნაწილის დივიდენდებზე განაწილების შედეგად.

მაჩვენებლები გაანგარიშებულია სტანდარტების (ფასს) შესაბამისად ნაერთი ანგარიშგების მონაცემების თანახმად. საზოგადოების 2015 წლის ბუღალტრული ანგარიშგება დამოწმებულია საზოგადოების აუდიტორის EY Georgia LLC მიერ (2015 წლის აუდიტორული დასკვნა საზოგადოების ფინანსურ ანგარიშგებაზე იხ. თანდართული).

2013 წლის 31 მარტს ხელი მოეწერა მემორანდუმს „ელექტროენერჯეტიკის და ადრე მიღწეული შეთანხმებების რეალიზაციის სფეროში თანამშრომლობის განვითარების შესახებ“ საქართველოს მთავრობასა და სსს „ინტერ რაო“-ს შორის.

## სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2015

მემორანდუმის თანახმად საზოგადოება ვალდებულია ყოველწლიურად საქართველოს მთავრობას წარუდგინოს საზოგადოების საქმიანობის დიდი ოთხეულის წევრი საერთაშორისო აუდიტორის მიერ გაანგარიშებული და დადასტურებული ეფექტურობის მაჩვენებლები. მემორანდუმის აღნიშნული მოთხოვნის რეალიზაციისათვის, საერთაშორისო აუდიტორულმა კომპანიამ „Deloitte & Touche“ განახორციელა საზოგადოების ეფექტურობის მაჩვენებლების გაანგარიშება, 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. გაანგარიშება დადასტურებულია სხვა საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის მიერ „EY Georgia LLC“, 2015 წლის 30 მარტს. მიზნობრივი საინვესტიციო დანამატის (მსდ) საბოლოო მაჩვენებელმა შეადგინა 10 363 ათასი ლარი, მემორანდუმის თანახმად საჭირო მთლიანი შემოსავლის (სმშ) გეგმიური დეფიციტის 14 818 ათასი ლარი არსებობისას.

საზოგადოების საქმიანობის ეფექტურობის ფაქტობრივი მაჩვენებლების დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ გაანგარიშების შედეგების მიხედვით, განხორციელდა 2017–2025 წ.წ. მსდ-ს განაწილება საზოგადოებას და საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს შორის.

### საზოგადოების საქმიანობის საწარმოო მაჩვენებლები

2015 წელს საზოგადოების ძირითადი საწარმოო მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება შემდეგნაირად არის შესაძლებელი:

საწარმოო მაჩვენებლები	2014 წელი	2015 წელი	% ცვლილება
ნაყიდი ელექტროენერგია, მლნ.კვტ*სთ	2 300	2 474	8
- დანაკარგები გადაცემის დროს, მლნ.კვტ*სთ	48	55	13
ქსელში მიღებულია (გაშვება), მლნ.კვტ*სთ	2 252	2 419	7
- ქსელში ელექტროენერგიის დანაკარგები, მლნ.კვტ*სთ	137	146	6
ელექტროენერგიის სასარგებლო გაშვება, მლნ.კვტ*სთ	2 115	2 273	8

2015 წელს ელექტროენერგიის გაყიდვების საერთო მოცულობამ შეადგინა 308 499 ათასი ლარი, რაც 27 895 ათასი ლარით მეტია, 2015 წელს საზოგადოების ბიზნეს-გეგმით გათვალისწინებულზე

### ელექტროენერგიის გაყიდვების საერთო მოცულობის სტრუქტურა

(ათასი ლარი)

1	დასახელება	2014 წელი	2015 წელი			
			გეგმა	ფაქტი	გადახრა	
					(+/-)	%
1	2	3	4	5	6	7
1	რეალიზაცია მოსახლეობაზე და მასთან გათანაბრებულ მომხმარებლებზე შიდა ბაზარზე.	118 068	120 330	126 623	6 293	5.2
2	რეალიზაცია საბიუჯეტო	17 881	18 539	20 789	2 250	12.1

## სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2015

	საწარმოებზე შიდა ბაზარზე					
3	რეალიზაცია კომერციულ მომხმარებლებზე შიდა ბაზარზე	127 979	137 244	156 337	19 093	13.9
4	სხვა რეალიზაცია შიდა ბაზარზე	4 260	4 491	4 750	259	5.8
	<b>სულ გაყიდვები</b>	<b>268 188</b>	<b>280 604</b>	<b>308 499</b>	<b>27 895</b>	<b>9.9</b>

2015 წ. გაყიდვების მოცულობის ზრდა 27 895 ათასი ლარით განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

1. მოსახლეობაზე ელექტროენერჯის გაყიდვისგან ფაქტობრივი ამონაგები გაიზარდა 6 293 ათასი ლარით, გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით, ელექტროენერჯიაზე მოთხოვნილების 35.19 მლნ. კვტ\*სთ.-ით ზრდის გამო.

2. საბიუჯეტო სექტორისთვის გაყიდვებით მიღებული ამონაგების მატება განპირობებულია გაყიდვების 20.73 მლნ. კვტ\*სთ. -ით ზრდით.

3. კომერციული სექტორისთვის გაყიდვებით მიღებული ამონაგები გაიზარდა 19 093 ათასი ლარით გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით, 181.75 მლნ. კვტ სთ. მეტი ელექტროენერჯის გაყიდვის გამო.

4. შემოსავალი ნაწილში „სხვა რეალიზაცია შიდა ბაზარზე“ გაიზარდა 259 ათასი ლარით, რაც განპირობებულია 1.70 მლნ. კვტ\*სთ.-ით გაყიდვების ზრდით.


მომხმარებლებზე ელექტროენერჯის საერთო სასარგებლო გაშვებამ 2015 წელს შეადგინა 2 273 მლნ. კვტ\*სთ.

### ელექტროენერჯის მოხმარების სტრუქტურა აბონენტების კატეგორიების მიხედვით 2014 – 2015 წწ.-ებში

(მლნ. კვტ\*სთ)

1	დასახელება	2014 წელი	2015 წელი			
			გეგმა	ფაქტი	გადახრა	
					(+/-)	%
1	2	3	4	5	6	7
1	რეალიზაცია მოსახლეობაზე და მასთან გათანაბრებულ მომხმარებლებზე შიდა ბაზარზე	957	917	952	35	3.8
2	რეალიზაცია საბიუჯეტო საწარმოებზე შიდა ბაზარზე	139	130	150	20	15.4
3	რეალიზაცია კომერციულ მომხმარებლებზე შიდა ბაზარზე	983	952	1 134	182	19.1
4	სხვა რეალიზაცია შიდა ბაზარზე	36	35	37	2	5.7
	<b>სულ გაყიდვები შიდა ბაზარზე</b>	<b>2 115</b>	<b>2 034</b>	<b>2 273</b>	<b>239</b>	<b>11.8</b>
5	ელექტროენერჯის რეალიზაცია ექსპორტზე	-	-	-	-	-
	<b>სულ გაყიდვები</b>	<b>2 115</b>	<b>2 034</b>	<b>2 273</b>	<b>239</b>	<b>11.8</b>

ელექტროენერჯის მოხმარების სტრუქტურა აბონენტების კატეგორიების მიხედვით 2015 წ. განმავლობაში



ელექტრული ქსელების დახასიათება

1	დასახელება	განზ. ერთეული	მაჩვენებლები
1	2	3	4
1	ეგზ საერთო სიგრძე, სულ	კმ	4825.7
	მათ შორის:		
1.1	საჭაერო ეგზ (ჯაჭვების მიხედვით), სულ	კმ	2058.5
	მათგან:		
1.1.1	- ძაბვის დონე 110 კვ	კმ	247
1.1.2	- ძაბვის დონე 35 კვ	კმ	86.7
1.1.3	- ძაბვის დონე 10 კვ	კმ	126.7
1.1.4	- ძაბვის დონე 6 კვ	კმ	194.2
1.1.5	- ძაბვის დონე 500 ვოლტი და ნაკლები	კმ	1403.9
1.2	საკაბელო ეგზ, სულ	კმ	2767.2
	მათგან:		
1.2.1	- ძაბვის დონე 110 კვ	კმ	41.2
1.2.2	- ძაბვის დონე 10 კვ	კმ	299
1.2.3	- ძაბვის დონე 6 კვ	კმ	1222.1
1.2.4	- ძაბვის დონე 500 ვოლტი და ნაკლები	კმ	1204.9
2	მადაბლებელი ქვესადგურები 35 კვ და მეტი		
2.1	ქვესადგურების რაოდენობა, სულ	ცალი	39
	მათ შორის:		
2.1.1	მადაბლებელი ქვესადგურები 35/6 -10 კვ	ცალი	12
2.1.2	მადაბლებელი ქვესადგურები 110 კვ	ცალი	23

## სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2015

2.1.3	გამანაწილებელი ქვესადგურები 6/10 კვ	ცალი	4
2.2	საერთო დადგმული სიმძლავრე	მვა	1636.3
	მათ შორის:		
2.2.1	მადაბლებელი ქვესადგურები 35/6 -10 კვ	მვა	343.3
2.2.2	მადაბლებელი ქვესადგურები 110 კვ	მვა	1293
<b>3</b>	<b>სატრანსფორმატორო ქვესადგურები 10/6/0,4 კვ</b>		
3.1	ქვესადგურების რაოდენობა	ცალი	1874
3.2	საერთო დადგმული სიმძლავრე	მვა	1213
	მათ შორის:		
	გქს	ცალი	5
	გსქ	ცალი	174
	დსქ	ცალი	1377
	კსქ	ცალი	311
	ასქ	ცალი	7

### ავარიულობა. ტექნოლოგიური დარღვევები

2015 წელს სს „თელასის“ ელექტრული ქსელების მუშაობისას სულ მოხდა 3 112 ტექნოლოგიური ინციდენტი, რაც 27.7% ნაკლებია 2014 წელს მომხდარ ინციდენტთან შედარებით (4 306 შემთხვევა). 2015წ. ელექტროენერჯის არასაკმარისმა გაშვებამ შეადგინა 1354.9 ათასი კვტ.\*სთ, რაც გასულ წელთან შედარებით 19.1% ნაკლებია. ეკონომიკურმა ზარალმა ავარიების შედეგად 2015წ. შეადგინა 94.8 ათასი ლარი, რაც 2014 წელთან ან შედარებით 19.1% ნაკლებია.

ქვემოთ ცხრილში მოყვანილია მონაცემები სს „თელასის“ ელექტროქსელში ინციდენტების, ავარიების და ტექნოლოგიური დარღვევების შესახებ 2014-2015 წლებში.

	მაჩვენებლის დასახელება	2014 წელი	2015 წელი	გადახრა	
				(+/-)	%
1	ინციდენტები	4 306	3 112	(1 194)	(27.7)
2	ავარიები	-	-	-	-
3	ელექტროენერჯის არასაკმარისი გაშვება (ათასი კვტსთ)	1 674.9	1354.9	(320)	(19.1)
4	ეკონომიკური ზარალი (ათასი ლარი)	117.2	94.8	(22.4)	(19.1)

### ტექნიკური ზედამხედველობა

2015 წლის განმავლობაში საზოგადოების ზედამხედველობის, ტექნიკური და სახანძრო უსაფრთხოების განყოფილების ძალებით განხორციელდა საორგანიზაციო-ტექნიკური, საინფორმაციო-მეთოდური, საზედამხედველო და პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსი ელექტრული ქსელების ყველა კლასის ობიექტებზე, რაც მიზნად ისახავდა ხანძრების, ავარიების და სხვა ტექნოლოგიური დარღვევების თავიდან აცილებას, მოწყობილობების და პერსონალის საექსპლუატაციო საიმედოობის გაზრდას, ავარიულობის

## სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2015

და ტრავმატიზმის შემცირებას. ელექტროქსელური ობიექტების შემოწმებების შეჯერებული მონაცემები მოყვანილია ცხრილში:

	ცნობები შემოწმებების შესახებ	2014	2015
1	ობიექტების შემოწმების საერთო რიცხვი	2 388	1 260
2	მიწერილობების რაოდენობა	605	443
3	მიწერილობებში ღონისძიებების რაოდენობა	2 283	1 209
	მათ შორის:		
3.1	შესრულებული	2 032	1 148
3.2	ღონისძიებები, რომელთა ვადა გადატანილი იქნა	251	61

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საზოგადოების ქვედანაყოფებში ხორციელდებოდა საყოველთაო შემოწმებები პერსონალის მიერ შრომის დაცვის და სამრეწველო უსაფრთხოების მოთხოვნათა დაცვის ნაწილში. შემოწმების შედეგების მიხედვით ტარდებოდა ანალიზი, ვლინდებოდა ტრავმასაშიში სიტუაციები და ფაქტორები, მუშავდებოდა ღონისძიებები მათ აღსაკვეთად.

### სს „თელასის“ ელექტრულ ქსელზე ტექნოლოგიური მიერთებები 2014 – 2015წწ.-ებში


ახალი აბონენტების მიერთების პროექტები საზოგადოების საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. პროექტები გულისხმობს ახალი აბონენტებისთვის ქსელის მოწყობას საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) 2008 წლის 18 სექტემბრის #20 დადგენილების თანახმად. სამუშაოების მოცულობები, მასალების რაოდენობა ახალი მიერთებების პროექტების მიხედვით მთლიანად არის დამოკიდებული მომხმარებლებისგან შემოსულ მოთხოვნებში მითითებულ მოთხოვნილ სიმძლავრეებზე. სემეკ-ის 2008 წლის 18 სექტემბრის #20 დადგენილების საფუძველზე მიერთებაზე განაცხადების შესრულება უნდა განხორციელდეს განსაზღვრულ ვადაში (20-დან 90 დღემდე სიმძლავრიდან გამომდინარე). მიერთებაზე განაცხადის შესრულების ვადების თითოეული დარღვევა იწვევს ჯარიმებს (50% პაკეტის ღირებულებიდან გამომდინარე), რომლებიც შეიძლება აღემატებოდეს მიერთების ღირებულებას.

2015 წ. განმავლობაში ახალი მომხმარებლებისგან შემოვიდა სულ 3 810 განცხადება ჯამური სიმძლავრით 139.7ათასი კვტ, განხორციელდა მომხმარებლების ელექტრულ ქსელზე 3 572 ტექნოლოგიური მიერთება, საერთო ჯამური სიმძლავრით 126 ათასი კვტ. აქედან 3 557 მიერთება საერთო ჯამური სიმძლავრით 73,7ათასი კვტ. მძვავზე 0,4 კვ (მიერთებების საერთო სიმძლავრის 58.5%), 14 მიერთება საერთო ჯამური სიმძლავრით 12.3ათასი კვტ მძვავზე 6/10 კვ (მიერთებების საერთო სიმძლავრის 9.7%) და 1 მიერთება, საერთო ჯამური სიმძლავრით 40 ათასი კვტ მძვავზე 35/110 კვ (მიერთებების საერთო სიმძლავრის 31,8%).

## სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2015

	მიერთების ძაბვა	სრული მიერთებების რ-ბა ხელშეკრულებებისა და ტპ-ის მიხედვით, ც		მიერთებების ფაქტობრივი სიმძლავრე, ათასი კვტ	
		2014 წელი	2015 წელი	2014 წელი	2015 წელი
		1	35/110 კვ	-	1
2	6 -10 კვ	19	14	14.4	12.3
3	0,4 კვ	4943	3557	73.9	73.7
	<b>სულ</b>	<b>4962</b>	<b>3572</b>	<b>88.3</b>	<b>126</b>

### ტექნოლოგიური მიერთებების დიაგრამა 2014 – 2015 წწ. -ებში




ფაქტობრივმა შემოსავლებმა 2015 წლის განმავლობაში ახალი აბონენტების მიერთების შედეგად შეადგინა 9 051 ათასი ლარი გეგმით გათვალისწინებულ 8 178 ათას ლართან შედარებით. საანგარიშო პერიოდში ქსელზე მიერთებული იქნა 18 113 ახალი აბონენტი. გეგმით გათვალისწინებული იყო 19 138 აბონენტის მიერთება.

### საქმიანობა რემონტების დარგში

სს „თელასის“ ელექტროქსელური მეურნეობის ობიექტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი ხორციელდება საზოგადოების საკუთარი ძალებით, აგრეთვე მოწვეული კონტრაგენტების მიერ.

2015 წელს ელექტროქსელების რემონტისათვის გაღებულმა ფაქტობრივმა ხარჯებმა შეადგინა 2 535 ათასი ლარი, რაც გეგმით გათვალისწინებულზე 174 ათასი ლარით მეტია.


რემონტების სტრუქტურა 2015 წ.



ელექტრულ ქსელებში ელექტროენერჯის დანაკარგები

2015 წელს საზოგადოების მიერ შესყიდული იყო 2 474 მლნ კვტ\*სთ ელექტროენერჯია. გადაცემის დროს დანაკარგებმა მაღალი ძაბვის ქსელებში შეადგინა 55 მლნ კვტ\*სთ. ქსელში გაშვებამ შეადგინა 2 419 მლნ კვტ\*სთ. მომხმარებლისათვის სასარგებლო გაშვებამ შეადგინა 2 273 მლნ კვტ\*სთ. სს „თელასის“ ქსელში ელექტროენერჯის ჯამურმა დანაკარგებმა შეადგინა 146 მლნ კვტ\*სთ.

ქსელებში ელექტროენერჯის შესყიდვის, განაწილების და დანაკარგების დიაგრამა



VII. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საზოგადოების შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- საზოგადოების ელექტრულ ქსელებში ელექტროენერჯის დანაკარგების მინიმიზაცია;
- მომხმარებლების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;



## სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2015

- სისტემის დანერგვა საზოგადოების მომხმარებლების საგადახდო დისციპლინის ასამაღლებლად.

აგრეთვე, 2016-2021წ.წ. საინვესტიციო პროგრამის შესაბამისად, SAP სისტემის ფუნქციონალობის განვითარების ნაწილში 2016 - 2018წლებში პერიოდზე დაგეგმილია SAP სისტემის შემდეგი ფუნქციონალობის დანერგვა:

- – მოწყობილობების ტექნიკური მომსახურება და რემონტი (2015წ. დაწყებული პროექტის დასრულება);
- BW – მონაცემების საცავი;
- MM/HR – სპეცტანსაცმლის და დაცვის ინდივიდუალური საშუალებების შემუშავება და აღრიცხვა;
- მონაცემების არქივირება.

ფუნქციონალის დანერგვით კომპანია გააუმჯობესებს საწარმოო პროცესების ეფექტურობას ერთდროულად რამდენიმე სფეროში. კერძოდ:

- ქსელის ობიექტების შესახებ ტექნიკური ინფორმაციის არსებობა და მისაწვდომობა. ქსელის მდგომარეობის შესახებ ოპერატიული და საიმედო ინფორმაციის მიღება შესაძლებელს გახდის ტექნიკური ობიექტების პასპორტიზაციას და კონტროლის განხორციელებას თუ ვინ, როდის, რა სამუშაო ჩაატარა ქსელის ცალკეულ მონაკვეთზე;
- ქსელში სამუშაოების ზუსტი დაგეგმვის შესაძლებლობა. მუშა ბრიგადების მუშაობის ეფექტურობის გაუმჯობესება რესურსების უკეთ დაგეგმვის გამო;
- მასალებზე მოთხოვნილების დაგეგმვის გაუმჯობესება - მასალების მოწოდების ოპტიმიზაცია, დაგეგმილი სამუშაოების გრაფიკის თანახმად.

BW სისტემის დანერგვა უზრუნველყოფს ანგარიშგების ფორმირების მოქნილ სისტემას, რომელიც შესაძლებელს გახდის ინფორმაციის ანალიზს კროსს-მოდულურად სხვადასხვა განზომილებებში, რაც ძალზე მნიშვნელოვანია სწორი გადაწყვეტილებების დროულად მიღებისთვის.

სპეცტანსაცმლის და დაცვის ინდივიდუალური საშუალებების შემუშავება და აღრიცხვა შესაძლებელს გახდის მაქსიმალურად ზუსტად დაიგეგმოს მოთხოვნილება სპეცტანსაცმელსა და დაცვის ინდივიდუალურ საშუალებებზე, აგრეთვე ხელს შეუწყობს ექსპლუატაციის ვადის ზუსტი კონტროლის განხორციელებას.

მონაცემების არქივირება აუცილებელია SAP სისტემის მუშაობის სიჩქარის ასამაღლებლად.

ზემოთხსენებული ფუნქციონალის რეალიზაციის შედეგად დასრულდება სს „თელასში“ SAP სისტემის დანერგვის პროგრამა.

## VIII. საინვესტიციო საქმიანობა

საზოგადოება საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებას ახორციელებს ეკონომიკური ეფექტურობის და მიზანშეწონილობის პრინციპების საფუძველზე. საზოგადოების საინვესტიციო საქმიანობის ძირითადი პერსპექტიული მიმართულებებია: კომერციული დანაკარგებისა და ავარიულობის შემცირება, ელექტროქსელის საიმედოობის და უსაფრთხოების ამაღლება და საწარმოო სიმძლავრეების გაფართოება.

## სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2015

2015 წელს საზოგადოებამ განხორციელა საინვესტიციო დაბანდებები (ათვისებასთან დაკავშირებით) თანხით 30 393 ათასი ლარი. ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციაში შეყვანა განხორციელდა თანხით 30 832 ათასი ლარი, გეგმით გათვალისიწნებულ 33 470 ათას ლართან შედარებით.

2015 წელს პროექტების და სამუშაოების დაფინანსების წყარო იყო საზოგადოების საკუთარი სახსრები. ქვემოთ მოყვანილია ინვესტიციების დაფინანსების სტრუქტურა.

		(ათასი ლარი)			
	მუხლების დასახელება	გეგმა	ფაქტი	გადახრა	
				(+/-)	%
1	2	3	4	5	6
<b>1</b>	<b>საკუთარი წყაროები</b>	<b>29557</b>	<b>30393</b>	<b>837</b>	<b>103</b>
	მათ შორის:				
1.1	ამორტიზაცია	8911	9161	250	103
1.2	გასული პერიოდების მოგება	12467	12051	(416)	97
1.3	სხვა საკუთარი წყაროები	8178	9181	1003	112
	<b>სულ</b>	<b>29557</b>	<b>30393</b>	<b>837</b>	<b>103</b>

### IX. საქმიანობა შესყიდვების დარგში

შესყიდვების საქმიანობის განხორციელებისას საზოგადოება ხელმძღვანელობს შემდეგი ნორმატიული დოკუმენტებით:


- სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით (29.05.2014 წ., ოქმი 121) დამტკიცებული დებულება „სს „თელასის“ საჭიროებისათვის საქონლის, სამუშაოების, მომსახურების რეგლამენტირებული შესყიდვების წესის შესახებ“ ;
- სს „თელასის“ 25.12.2015წ. ბრძანება 702 დამტკიცებული სს „თელასის“ შწკპ ფორმირების, კორექტირების და შესრულების კონტროლის ბიზნეს-პროცესის რეგლამენტი;
- სს „თელასის“ 25.12.2015წ. ბრძანება 703 დამტკიცებული სს „თელასის“ ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს მუშაოების ბიზნეს-პროცესის რეგლამენტი.

2015 წელს ჩატარდა 477 საკონკურსო და რეგლამენტირებული კონკურსგარეშე შესყიდვა. სს „თელასის“ საჭიროებისათვის საქონლის, სამუშაოების, მომსახურების შესყიდვაზე ფაქტობრივი დანახარჯების საერთო მოცულობამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 38 236 ათასი ლარი. აქედან 22 373 ათასი ლარი (ფაქტობრივი შესყიდვების საერთო მოცულობის 58.52%) შეადგინა საკონკურსო შესყიდვების ხარჯებმა და 15 863 ათასი ლარი (ფაქტობრივი შესყიდვების საერთო მოცულობის 41.48%) შეადგინა არასაკონკურსო რეგლამენტირებული შესყიდვების ხარჯებმა.

სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2015

საქმიანობის სახეობების მიხედვით რეგლამენტირებული შესყიდვების  
სტრუქტურა 2015 წ.

	საქმიანობის სახეობა	ლოტების ჯამური ღირებულება (ათასი ლარი, დღგ-ს გარეშე)	ლოტების რაოდენობა	% შესყიდვების საერთო თანხიდან
1	2	3	4	5
1	რემონტი	1,526	20	3.99%
2	ექსპლუატაცია	1,276	18	3.34%
3	ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯები	1,407	31	3.68%
4	დაცვა	946	5	2.47%
5	სტ-შესყიდვები	1,154	17	3.02%
6	საკონსულტაციო და საინფორმაციო მომსახურება	110	2	0.29%
7	აუდიტი და შეფასება	39	1	0.10%
8	დაზღვევა	7,900	3	20.66%
9	კორპორაციული მართვა	32	2	0.08
10	ტექ.გადაიარაღება და რეკონსტრუქცია	6,984	81	18.27
11	ახალი მშენებლობა და გაფართოება	12,697	232	33.21
12	სხვა კაპიტალური ხასიათის სამუშაოები და მიწოდებები	4,166	65	10.90
<b>სულ:</b>		<b>38,236</b>	<b>477</b>	<b>100</b>



## X. საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების აღწერილობა.

სს „თელასის“ საქმიანობის ძირითადი სახეობაა მომხმარებელთა ელექტროენერგიით და ქსელური მომსახურებით (ელექტროენერგიის გადაცემა) უზრუნველყოფა ქ. თბილისში. საზოგადოების საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე წარმოადგენს:

**დარგობრივი რისკები.** დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფოს მიერ ტარიფების დაუსაბუთებელი რეგულირება და რისკი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის (სემეკი) მიერ ისეთი ტარიფების შესაძლო დამტკიცებასთან, რომელიც არ ფარავს საზოგადოების ხარჯებს. კომპანიაში ტარდება გეგმაზომიერი მუშაობა სემეკ-თან ამ რისკის წარმოქმნის თავიდან აცილების მიზნით. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის (სემეკი) 03.09.2015წ. დადგენილებით 26 შეტანილი იქნა ცვლილებები სემეკ-ის 04.12.2008წ. დადგენილებაში 33 “ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“. აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად სს „თელასისთვის“ დედგინდა ახალი ტარიფები ელექტროენერგიის განაწილებაზე, გატარებასა და მოხმარებაზე 2015 წლის 3 სექტემბრიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის.

**ქვეყნის და რეგიონალური რისკები.** ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის, სახელმწიფო რეგულირების პირობების შეცვლასთან. საანგარიშო პერიოდში საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებას, რომელმაც სს „თელასის“ ფინანსურ

## სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2015

მდგომარეობაზე ექონია ზეგავლენა, წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილება, რომლის თანახმად ელექტროენერჯის განაწილების საქმიანობის განმახორციელებელი ელექტროენერჯეტიკის საწარმოს მიერ 2001 წლის 1 ნოემბრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე პერიოდში ელექტროენერჯის მიწოდებით წარმოშობილი ვალის მოვალისთვის პატიება არ ითვლება მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურებად.

ქ. თბილისის ეკონომიკური განვითარება, რომელიც გავლენას ახდენს სს „თელასის“ სამეურნეო-ფინანსურ საქმიანობასა და ოპერაციების რენტაბელობაზე, ძირითადად, ხელსაყრელია.

შესაძლო სამხედრო კონფლიქტებთან, საგანგებო მდგომარეობის შემოღებასა და გაფიცვებთან დაკავშირებული რისკები რეგიონში არ არსებობს.

**ფინანსური რისკები.** თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი. საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არ ახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას. ქვემოთ მოცემულია ლარის კურსის დინამიკა აშშ დოლარის მიმართ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში:

თვე	გეგმა	ფაქტი
იანვარი	2.0557	2.0557
თებერვალი	2.1654	2.1654
მარტი	2.2275	2.2275
აპრილი	2.24	2.3093
მაისი	2.24	2.3112
ივნისი	2.5	2.2483
ივლისი	2.5	2.2792
აგვისტო	2.5	2.3465
სექტემბერი	2.5	2.3816
ოქტომბერი	2.5	2.398
ნოემბერი	2.5	2.4051
დეკემბერი	2.5	2.3949

**საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები.** შემოსავალი და საოპერაციო ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საზოგადოება ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო. ამასთან დაკავშირებით საზოგადოების ხელმძღვანელობამ განახორციელა ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის სესხის წინასწარ გადახდა 6 700 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც დაფიქსირებული იყო უცხოურ ვალუტაში ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით.

საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები. საზოგადოების ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებსავარაუდოა.

**გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკი.** გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს სს „თელასის“ ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, აქციონერების და სხვა კონტრაგენტების წინაშე სს „თელასის“ მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა.

**სამართლებრივი რისკები.** სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

**მოსახლეობის გადახდისუნარიანობა.** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად ([www.geostat.ge](http://www.geostat.ge)) ბოლო წლებში შეიმჩნევა მშპ-ს ზრდის ტენდენცია და უმუშევრობის დონის შემცირება, რაც დადებითად აისახება საერთო ფულადი მასის ზრდაზე.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთან, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან (სემეკი) და თბილისის ადმინისტრაციასთან დამყარებული კონსტრუქციული ურთიერთობები, განვითარებული ელექტროქსელური ინფრასტრუქტურის არსებობა, ენერჯის სამომხმარებელი ბაზრის კარგი ცოდნა, საზოგადოების დადებითი საკრედიტო ისტორია, მაღალკვალიფიციური პერსონალი, ხარჯების მართვის გამოცდილება, საინვესტიციო პროგრამების დაფინანსების გამოცდილება საზოგადოებას აძლევს საშუალებას განახორციელოს თავისი საქმიანობა ელექტროენერგეტიკისათვის წაყენებული თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

## XI. ანგარიში საზოგადოების აქციების მიხედვით გამოცხადებული (დარიცხული) დივიდენდების გადახდის შესახებ

საზოგადოების წესდების შესაბამისად (მუხლი 6, პუნქტი 6.3 ქვეპუნქტი 3) აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ საზოგადოების მიერ განცხადებული დივიდენდები. 2015 წელს საზოგადოების აქციონერთა წლიურმა საერთო კრებამ (2015 წლის 22 მაისის ოქმი) 2014 წლის შედეგებით მიიღო გადაწყვეტილება დივიდენდების გადახდის შესახებ საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების მიხედვით.


	2015 წელი
დივიდენდების საერთო თანხა,	8,802,000 ლარი
დივიდენდების ოდენობა ერთ ჩვეულებრივ აქციაზე	0.08 ლარი
დივიდენდების წილი ჩვეულებრივი აქციების მიხედვით წმინდა მოგებაში, %	77%
დივიდენდების ოდენობა ერთ პრივილეგირებულ აქციაზე	-
დივიდენდების წილი პრივილეგირებული აქციების მიხედვით წმინდა მოგებაში, %	-
დივიდენდების შემოსავლიანობა ჩვეულებრივი აქციების მიხედვით	0.08 ლარი

**II. საზოგადოების სააქციო კაპიტალის სტრუქტურა**

სს „თელასის“ კაპიტალ შეადგენს 112 429 418 ლარს და დაყოფილია 112 429 418 ჩვეულებრივ აქციად, რომელთა ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) ლარი თითოეული. სააქციო კაპიტალის საერთო სტრუქტურა, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდეგნაირად გამოიყურება:

ფასიანი ქაღალდების კლასი	დასახელება/ბენეფიციარი მესაკუთრის სახელი, გვარი და მისამართი	საკუთრებაში არსებული თანხა და საკუთრების მფლობელობის სახეობა	საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების კლასების პროცენტული შემადგენლობა
1	2	3	4
ჩვეულებრივი აქცია	„SilkRoadHoldingsB.V.“ –ნიდერლანდი	84 443 957 აქცია საერთო თანხით 84 443 957.00 ლარი	75.108
ჩვეულებრივი აქცია	სს „საპარტნიორო ფონდი“ (საკუთრების უფლებით), საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (მართვის უფლებით) - საქართველო	27 577 837 აქცია საერთო თანხით 27 577 837.00 ლარი	24.529
ჩვეულებრივი აქცია	დანარჩენი აქციონერები	407 624 აქცია საერთო თანხით 407 624.00 ლარი	0.363
<b>სულ</b>		<b>112 429 418 აქცია</b>	<b>100</b>

სააქციო საზოგადოების სტრუქტურა 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



### XIII. კორპორაციული მართვა. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს სს „თელასის“ საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას.

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს 2015 წლის მუშაობის შეჯამებისას, შეიძლება აღინიშნოს, რომ 2015 წლის განმავლობაში ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს 21 სხდომა (დასწრებული სხდომა - 4, დაუსწრებელი სხდომა - 17), ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებსაც არსებითი გავლენა ჰქონდა საზოგადოების საქმიანობაზე საანგარიშო წელს, შემდეგია:

1. საზოგადოების აქციონერთა წლიური საერთო კრების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები;
2. გადაწყვეტილებები, რომლებიც განსაზღვრავს საზოგადოების ფინანსურ-ეკონომიკურ პოლიტიკას (საზოგადოების 2015 წლის ბიზნეს-გეგმის, საინვესტიციო პროგრამის და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების დამტკიცება).

სს „თელასის“ აქციონერთა წლიური საერთო კრების გადაწყვეტილების (22.06.2015 ოქმი) თანახმად, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არჩეულ იქნენ:

#### *ვოლკოვი დიმიტრი ევგენის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე*

დაბადების წელი: 1969

სამუშაო ადგილი: სსს „ინტერ რაო“

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: სსს „ინტერ რაო“-ს

ცენტრალურ აზიასა და ამიერკავკასიაში აქტივების მართვის ბლოკის ხელმძღვანელი

მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 28.03.2013

საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

#### *ჭინჭარაული თემურ გრიგოლის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე*

დაბადების წელი: 1944

სამუშაო ადგილი: სს „თელასი“

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: სს „თელასის“

გენერალური დირექტორის მრჩეველი

მოქალაქეობა: საქართველო

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 15.12.1998

საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

#### *პახომოვი ალექსანდრ ალექსანდრეს ძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი*

დაბადების წელი: 1973

სამუშაო ადგილი: სსს „ინტერ რაო“



თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: გამგეობის წევრი - სსს „ინტერ რაო“-ს სამართლებრივი მუშაობის ბლოკის ხელმძღვანელი  
მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია  
სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 28.06.2013  
საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

**ოკლეი პაველ ივანის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი**

დაბადების წელი: 1970  
სამუშაო ადგილი: სსს „ინტერ რაო“  
თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: გამგეობის წევრი - სსს „ინტერ რაო“-ს საწარმოო საქმიანობის ბლოკის ხელმძღვანელი  
მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია  
სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 06.12.2011  
საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

**ბონდარი დიმიტრი ვლადიმირის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი**

დაბადების წელი: 1972  
სამუშაო ადგილი: სსს „ინტერ რაო“  
თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: ლსს „ინტერ რაო - შესყიდვების მართვის ცენტრის“ გენერალური დირექტორის აპარატის გენერალური დირექტორის მოადგილე სავაჭრო საქმიანობის დარგში  
მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია  
სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 22.05.2015  
საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

**ჯორბენაძე ვახტანგ სამსონის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი**

დაბადების წელი: 1976  
სამუშაო ადგილი: სს „საპარტნიორი ფონდი“  
თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: სს „საპარტნიორო ფონდის“ იურისტი  
მოქალაქეობა: საქართველო  
სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 26.12.2013  
საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

სამეთვალყურეო საბჭოს არჩევამდე აქციონერთა საერთო კრებაზე 22.05.2015 წ., საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოში 2015 წლის განმავლობაში ასევე შედიოდა:

**მირსიაპოვი ილნარ ილბატორის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი**

დაბადების წელი: 1982  
სამუშაო ადგილი: სსს „ინტერ რაო“  
თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: გამგეობის წევრი - სსს „ინტერ რაო“-ს სტრატეგიებისა და ინვესტიციების ბლოკის ხელმძღვანელი

მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 09.06.2014

საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

#### IV. საზოგადოების გენერალური დირექტორი

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ახორციელებს გენერალური დირექტორი. კოლევიალური აღმასრულებელი ორგანო გათვალისწინებული არ არის.

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით (2013 წლის 28 მარტის ოქმი #94) 2013 წლის 1 აპრილიდან სს „თელასის“ გენერალურ დირექტორად არჩეულ იქნა კობცევი სერგეი ნიკოლაის ძე.

#### კობცევი სერგეი ნიკოლაის ძე - გენერალური დირექტორი

დაბადების წელი: 1972

სამუშაო ადგილი: სს „თელასი“

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: გენერალური დირექტორი

მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია

გენერალური დირექტორის თანამდებობაზე პირველად დაინიშნა: 01.04.2013

საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

#### XV. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის ანაზღაურების განსაზღვრის კრიტერიუმები და ოდენობა 2015წ.

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება აქციონერთა 2009 წლის 11 მარტის საერთო კრებაზე დამტკიცებული სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურების და კომპენსაციის გადახდის შესახებ დებულების საფუძველზე.

2015 წლის შედეგებით ანაზღაურებებმა შეადგინა:

	გვარი სახელი მამის სახელი	2015 წ. გადახდილი მთელი ანაზღაურების ერთიანი ოდენობა (ლარი)
1	ვოლკოვი დიმიტრი ევგენის ძე	12031
2	ოკლეი პაველ ივანის ძე	8 169
3	ბონდარი დიმიტრი ვლადიმირის ძე	5 739
4	პახომოვი ალექსანდრ ალექსანდრეს ძე	8 592
5	ჭინჭარაული თემურ გრიგოლის ძე	9 024

6	ჯორბენამე ვახტანგ სამსონის ძე	7 285
7	მირსიაპოვი ილნარ ილბატირის ძე	2 868
	<b>სულ:</b>	<b>53708</b>

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურების და კომპენსაციის გადახდის შესახებ დებულება ითვალისწინებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურების გადახდას სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაში მონაწილეობისთვის მისი ჩატარების ფორმის მიუხედავად და ასევე დამატებითი ანაზღაურების გადახდას აქციონერთა საერთო კრების მიერ დივიდენდების გადახდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ფინანსური წლის შედეგების მიხედვით.

## VI. საზოგადოების კონტროლის შიდა სისტემის დახასიათება

საზოგადოების შიდა კონტროლის სისტემა შექმნილია საზოგადოების, მისი გამოცალკევებული ქვედანაყოფების, საზოგადოების მართვის ორგანოების თანადებობის პირების და საზოგადოების აღმასრულებელი აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის რეგულარული კონტროლის განხორციელების მიზნით საქართველოს კანონმდებლობასთან, საზოგადოების წესდებასა და შიდა დოკუმენტებთან შესაბამისობაზე.

შიდა კონტროლი საზოგადოებაში 2015 წელს ხორციელდებოდა საზოგადოების ეკონომიკური უსაფრთხოების და დაცვის სამმართველოს მიერ.

ეკონომიკური უსაფრთხოების და დაცვის სამმართველო ახორციელებდა ყოველდღიურ შიდა კონტროლს, რაც მოიცავდა შემდეგს:

- საწარმოს აქტივების დაცულობის კონტროლი;
- რესურსების რაციონალური და ეკონომიური ხარჯვის კონტროლი;
- მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების პროცესის კონტროლი;
- პროდუქციის წარმოების, გაყიდვის პროცესის კონტროლი;
- საზოგადოების შიდა და გარე გარემოს მონიტორინგი უსაფრთხოების

საფრთხეების გამოსავლენად;

- სხვა მიმართულებები, საზოგადოების საჭიროებებიდან გამომდინარე.

ამრიგად, შიდა კონტროლის სისტემა ფინანსური და საოპერაციო რისკების, ასევე, თანამდებობის პირების მხრიდან ბოროტად გამოყენების შესაძლო ფაქტების ოპერატიულად გამოვლენის, პრევენციის და მინიმუმამდე დაყვანის საშუალებას იძლეოდა.

შიდა კონტროლმა ხელი შეუწყო საზოგადოების ხარჯების გეგმაზომიერ შემცირებას მისი რესურსების ეფექტურ მართვას.

## XVII. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

### პერსონალის მართვა

ადამიანური კაპიტალის განვითარების სფეროში საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები საანგარიშო პერიოდში იყო მართვის სისტემის

## სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2015

ეფექტურობის გაზრდა, მათ შორის, კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა, შრომის მწარმოებულობის გაზრდა, მუშაკების შრომის დაცვის საკითხები.

### საკადრო პოლიტიკა

სს „თელასის“ საკადრო პოლიტიკა საზოგადოების მმართველობითი საქმიანობის და საწარმოო სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია, მიზნად ისახავს ძირითადი მიზნების მიღწევას და საზოგადოების წინაშე დასმული ამოცანების გადაჭრას და ხორციელდება ისეთი მდგენელების მეშვეობით, როგორცაა:

- ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვა;
- მუშაკების მომზადების, სწავლების და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება;
- პერსონალის მოტივაციის სისტემის სრულყოფა;
- სოციალური პარტნიორობის განვითარება;
- შრომითი კანონმდებლობის, შრომის დაცვის ნორმების დაცვა და კოლექტიური


ხელშეკრულების დებულებების შესრულება.

სს „თელასის“ მუშაკების რიცხოვნობა 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2050 ადამიანს. 2015 წელს, შედარებით 2014 წელთან, პერსონალის რიცხოვნობა 2%-ით შემცირდა საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაციაზე მიმართული ღონისძიებების შედეგად. 2015 წელს საზოგადოებაში გათავისუფლებულ იქნა 68 ადამიანი და სამუშაოზე აყვანილ იქნა 36, მათგან 4 - აღდგენილია სასამართლოს გადაწყვეტილებით.

### მუშაკების სტრუქტურა კატეგორიების მიხედვით


(ადამიანი)

წელი	ხელმძღვანელები	სპეციალისტები	მოსამსახურეები	მუშები	სულ
2014 წელი	208	510	196	1168	<b>2082</b>
2015 წელი	171	487	30	1362	<b>2050</b>




### პერსონალის სტრუქტურა ასაკის მიხედვით

სს „თელასის“ მუშაკების ასაკობრივი დონე 31.12.2015 მდგომარეობით შეადგენს: 25 წლამდე - 20 ად., 25-დან 40 წლამდე - 487 ად., 41-დან 50 წლამდე - 618 ად., 51-დან 65 წლამდე - 804 ად. და 65 წელზე უფროსი - 121 ად.



*მუშაკების ხარისხობრივი შემადგენლობა*

სს „თელასის“ მუშაკების ხარისხობრივი შემადგენლობა 31.12.2015 მდგომარეობით შემდეგია: მუშაკები უმაღლესი განათლებით - 1381ად., საშუალო-სპეციალური განათლებით - 291ად. და საშუალო განათლებით - 378ად.



სს „თელასის“ საკადრო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებებია საზოგადოების მუშაკების უწყვეტი პროფესიული სწავლების დაგეგმვა და განხორციელება, რაც მოიცავს პერსონალის მომზადებას, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლებას, აგრეთვე, მუშაკების შრომის დაცვის საკითხებს.

პერსონალის მომზადება ორიენტირებულია მუშაკის მიერ ახალი ცოდნის მიღებაზე საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი მიმართულებებით, უნარ-ჩვევების განვითარებაზე კონკრეტული სამუშაო სიტუაციების გადასაჭრელად და პროფესიონალურად მნიშვნელოვან სიტუაციებში ქცევის გამოცდილების გამომუშავებაზე. მოცემული პროგრამის მთავარი მიზანი არის მუშაკების მომზადება უფრო რთული საწარმოო ფუნქციების (პასუხისმგებლობების), შესასრულებლად, ახალი თანამდებობების დასაკავებლად, მუშაკის მიმართ მოთხოვნებსა და რეალური სპეციალისტის ან მენეჯერის თვისებებს შორის განსხვავებების დასაძლევად (პროფესიული განვითარება).

## სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2015

საზოგადოების პერსონალის მომზადების, პროფესიული გადამზადების, საკადრო რეზერვის სწავლების შემუშავებული პროგრამის საფუძველზე 2015 წელს მუშაკებმა გაიარეს სწავლება შემდეგი მიმართულებებით:

- საზოგადოების მართვის სრულყოფა (პროგრამა კასკადი),
- საზოგადოების საქმიანობის ეკონომიკური საკითხები,
- ფინანსური საკითხები,
- ბულალტრული აღრიცხვა და დაგრა,
- საწარმოო საკითხები, მათ შორის სავალდებულო სწავლება
- ინფორმაციული ტექნოლოგიები,
- პერსონალის მართვა.

2015 წლის განმავლობაში სს „თელასში“ სწავლა და გადამზადება გაიარა 1267 ადამიანი. ამათგან სწავლობდნენ:

- სხვადასხვა დონის ხელმძღვანელები - 129 ადამიანი;
- სპეციალისტები - 237 ადამიანი,
- საწარმო-ტექნიკური პერსონალი - 901 ადამიანი.

საწარმოო პერსონალი სრულად დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. პერსონალის სწავლება ტარდება საქართველოს, რუსეთის ფედერაციის სასწავლო ცენტრებში და საკუთარ სასწავლო ცენტრ-კაბინეტში.

### სოციალური პარტნიორობა

სოციალური პარტნიორობა დამსაქმებელსა და სს „თელასის“ მუშაკებს შორის 2015 წელს ხორციელდებოდა საქართველოს ადგილობრივი და კომუნალური მეურნეობის მომსახურების დარგის მუშაკების პროფკავშირსა და სს „თელასის“ ადმინისტრაციას შორის დადებული კოლექტიური შეთანხმების ფორმატში.

კოლექტიური შეთანხმება მიზნად ისახავს საზოგადოების მუშაკების სოციალური და ეკონომიკური უფლებებისა და ინტერესების დაცვის უზრუნველყოფას, მუშაკების საკმარისი ცხოვრების დონის შენარჩუნებას და საზოგადოების ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფას.

### XVIII. გარემოს დაცვა

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სს „თელასი“ არ მიეკუთვნება იმ საწარმოთა რიცხვს, რომელთა საქმიანობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს გარემოს. ამ მიზეზით, 2015 წლის განმავლობაში არ ყოფილა დაგეგმილი და, შესაბამისად, არ განხორციელებულა გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური ხასიათის ღონისძიებები.

ამჟამად საქართველოში მკაცრდება გარემოსდაცვითი კანონმდებლობა და საჯარო ხელისუფლების ორგანოების პოზიცია მისი დაცვის მიმართ. ამჟამად შეუძლებელია იმ პოტენციური ვალდებულებების საკმარისი სიზუსტით შეფასება, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებების შედეგად, მაგრამ ისინი შეიძლება არსებითი აღმოჩნდეს. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი ვალდებულებების გადაფასებას საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად.

2013 წლის 16 იანვარს, სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით (01.16.2013 ოქმი #88), ISO 14001:2004 შესაბამისად, ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის დანერგვის და სერტიფიცირების საკითხი განისაზღვრა როგორც საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულება. ასევე დადგენილ იქნა სერტიფიცირების ბოლო ვადა - 2015 წლის დეკემბერი.

2013 წლის ნოემბერში, სს „თელასის“ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მოქმედი პროცედურების შესაბამისად, კომპანიაში დაიდო ხელშეკრულება ჰოლანდიურ საკონსულტაციო კომპანიასთან Quadra Consulting საკონსულტაციო მომსახურების შესახებ, რომელიც აუცილებელია ეკოლოგიური მენეჯმენტის სერტიფიკატის ISO 14001:2004 დასანერგად. ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო სამუშაო ეტაპები და პირობები: საზოგადოების ღწნა შემუშავება და დამტკიცება, კრიტერიუმების და სამუშაო მიზნების დაზუსტება, ტრენინგებს და სემინარების ჩატარება და ა.შ.

სს „თელასში“ ჩატარებული სამუშაოების შეფასებისთვის მზადყოფნის უზრუნველყოფის და სერტიფიკატის მიღების მიზნით საკონსულტაციო კომპანიამ ჩატარა შიდა აუდიტი 2014 წლის 21 ივლისიდან 25 ივლისის ჩათვლით, რომლის საფუძველზეც გაიცა დასკვნა, რომ კომპანიაში შექმნილია პირობები ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის დასანერგად, და ის მზადაა შეიტანოს განაცხადი სასერტიფიკაციო აუდიტის ჩატარებაზე და სერტიფიკატის მიღებაზე.

საერთაშორისო კომპანია Intertek-ის მიერ წარმატებული აუდიტის შემდეგსს „თელასმა“ 08.07.2015, დადგენილ ვადაზე 6 თვით ადრე, მიიღო საერთაშორისო სერტიფიკატი ეკოლოგიის მიმართულებით ISO 14001:2004.

ISO 14001:2004 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის შემუშავება და დანერგვა წარმოადგენს სს „თელასის“ სოციალური პასუხისმგებლობის წარმოჩენის ერთ-ერთ გზას და ბუნებრივ რესურსებზე ზრუნვის და გარემოს დაბინძურების შემცირების ეფექტურ მეთოდს.

ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის დანერგვამ შესაძლებელი გახადა:

- არასაწარმოო და საწარმოო ხარჯების შემცირება - ენერჯია და რესურსები გამოიყენება მნიშვნელოვნად უფრო რაციონალურად და ეფექტურად;
- ნარჩენების წარმოქმნის მინიმუმამდე დაყვანა, ორგანიზებულია მათი გამოყენების ახალი მიმართულებები;
- დაზღვევის თანხების შემცირება;
- ახალი შესაძლებლობების მიღწევა კრედიტების და ინვესტიციების მისაღებად (მრავალი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი გაცილებით დაბალი საპროცენტო განაკვეთებით აძლევს ფინანსურ სახსრებს კომპანიების, რომლებმაც დანერგეს ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემები; სადაზღვევო კომპანიები ასევე სთავაზობენ ასეთ ორგანიზაციებს მნიშვნელოვნად უკეთეს სადაზღვევო ტარიფებს);
- ორგანიზაციის მენეჯმენტის საერთო ეფექტურობის გაზრდა;
- პერსონალის ეკოლოგიურად პასუხისმგებელი ქცევის ფორმირება და მოტივაციის სისტემის შემუშავება, საწარმოო და ტექნოლოგიური დისციპლინის გაზრდა;
- დარგში პოზიციების გამყარება.

## სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2015

სს „თელასი“ კონცენტრირებულია თავისი ეკოლოგიური ეფექტურობის მუდმივ განვითარებაზე ეკოლოგიური მართვის სისტემის დანერგვის, მხარდაჭერის და გაუმჯობესების გზით იმისთვის, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს უარყოფითი გავლენა ეკოლოგიაზე პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის, საკანონმდებლო და სხვა მოთხოვნების შესაბამისად დაბინძურების თავიდან ასაცილებლად შესაბამისი პრაქტიკების გამოყენების მეშვეობით და იყოს მაგალითი სხვებისთვის.

### **XIX. ცნობები დაინტერესების საფუძველზე დადებული გარიგებების და საზოგადოების მიერ საანგარიშო წელში დადებული მსხვილი გარიგებების შესახებ**

2015 წელს საზოგადოებას არ დაუდვია მსხვილი გარიგებები და გარიგებები დაინტერესების საფუძველზე.

### **XX. ცნობები საზოგადოების მიერ კორპორაციული მართვის კოდექსის დაცვის შესახებ**

სს „თელასის“ კორპორაციული მართვის კოდექსი დამტკიცებული იყო სამეთვალყურეო საბჭოს 26.06.2013 გადაწყვეტილებით (26.06.2013 ოქმი #100).

კორპორაციული მართვის წინამდებარე კოდექსის მიზნებს წარმოადგენს სს „თელასის“ კორპორაციული მართვის სრულყოფა და სისტემატიზაცია, საზოგადოების მართვის მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და სათანადო კორპორაციული მართვის სტანდარტების შესასრულებლად საზოგადოების უცვლელი მზადყოფნის დადასტურება.

### **XXI. ცნობები საზოგადოების წმინდა აქტივების მდგომარეობის შესახებ**

ცხრილში მოყვანილია მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებს საზოგადოების აქტივების და კაპიტალის ღირებულების ცვლილების დინამიკას 2012-2015 წლების განმავლობაში.

*ათასი ლარი*

	2012	2013	2014	2015
კაპიტალი	112,429	112,429	112,429	112,429
წმინდა აქტივები	124,552	86,669	114,580	112,539

საზოგადოებამ მიიღო ზომები საზოგადოების წმინდა აქტივების ღირებულების მისი კაპიტალის სიდიდესთან შესაბამისობაში მოსაყვანად მოგების ზრდის ხარჯზე, რის შედეგადაც 2015 წლის ბოლოსთვის წმინდა აქტივები 110 ათ. ლარით აღემატება საზოგადოების კაპიტალის დონეს.



## XXII. დამატებითი ინფორმაცია აქციონერებისთვის

სს „თელასის“ იურიდიული მისამართი:

სს „თელასი“, 0119, ვანის ქ. 3, თბილისი, საქართველო

სს „თელასის“ საფოსტო მისამართი:

სს „თელასი“, 0119, ვანის ქ. 3, თბილისი, საქართველო

ელექტრონული ფოსტის მისამართი:

ელ-ფოსტა: [inform@telasi.ge](mailto:inform@telasi.ge)

მისამართი ინტერნეტში:

<http://www.telasi.ge>

ს/კ:202052580

ს/ანგარიში: ს/ასს „თი-ბი-სი ბანკი“ TBCBGE22,

ს/ა GE11 TB11 000 000 174 675 64

საკონტაქტო პირი:

*მილაშვილი მაგდალინა შოთას ასული*

*გენერალური დირექტორის თანაშემწე*

ელ-ფოსტა: [lina.milashvili@telasi.ge](mailto:lina.milashvili@telasi.ge)

ტელეფონი: +995 32 277-99-99

საზოგადოების რეესტრის მწარმოებელი - სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეესტრატორი“ (ლიცენზია #70-0006 გაცემულია 2000 წლის 26 იანვარს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ). ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოება ხორციელდებოდა 2014 წლის 1 აპრილის #cp-394/515 ხელშეკრულების თანახმად.

მისამართი: საქართველო, 0162, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #74ა. (მოსაშვილის #11)

ტელ.: (99532)222-53-51, 225-15-60

ფაქსი: (8832) 225-15-60

დარიცხული დივიდენდების გადახდის და აქციონერებისთვის ინფორმაციის წვდომის საკითხებზე შეიძლება მიმართოთ:

მისამართი:0119, ვანის ქ. 3, თბილისი, საქართველო

საკონტაქტო ტელეფონები: +995322779999 (1 7768)

საზოგადოების აუდიტორი - EYGeorgia LLC.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 იანვრის #96 კომპანიას მიეცა აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლება. აუდიტორული მომსახურების გაწევა ხდებოდა 2014 წლის 8 ივლისის # JSC Telasi/Audit/2014 ხელშეკრულების შესაბამისად.

მისამართი:საქართველო, თბილისი, კოტე აფხაზის ქ. 44

ტელ.: (99532) 215 88 11

ფაქსი: (99532) 215 88 22

XXIV. დანართი 2 -ანგარიში სამეთვალყურეო საბჭოს დავალებების შესრულების შესახებ 2015წ.

საკითხის ფორმულირება	სამეთვალყურეო საბჭოს მიღებული გადაწყვეტილება	ინფორმაცია გადაწყვეტილების შესრულების შესახებ
<b>2012 წლის 31 მაისის ოქმი #67</b>		
<p>საკითხი საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის შესახებ</p>	<p>2. გადაწყვეტილება 1. დავალოს სს „თელასის“ გენერალურ დირექტორს: 2.2. საზოგადოებაში წინამდებარე გადაწყვეტილების 2.1 პუნქტში მითითებულ თანამდებობებზე არჩევისას / დანიშვნისას / სამსახურში მიღებისას ღსს „ინტერ რაო ეეს“-ის პერსონალის მართვის დეპარტამენტის ინფორმირება კანდიდატების განცნობის და თანხმობის წარმოდგენის / წარმოუდგენლობის შესახებ არჩევიდან / დანიშნიდან / სამსახურში მიღებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში. 2.3. საზოგადოების საშტატო განრიგში წინამდებარე გადაწყვეტილების 2.1 პუნქტში მითითებული თანამდებობების შემოღებისას ღსს „ინტერ რაო ეეს“-ის პერსონალის მართვის დეპარტამენტის ინფორმირება აღნიშნულის შესახებ 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში. 2.4. წინამდებარე გადაწყვეტილების 2.1 პუნქტში მითითებული პირების მიერ ღსს „ინტერ რაო ეეს“-ის პერსონალის მართვის დეპარტამენტში შემდეგი საბუთების წარგდენის კონტროლის უზრუნველყოფა: 2.4.1. ცნობები და თანხმობები, ყოველწლიურად;</p>	<p><b>შესრულებულია</b> საჭირო ინფორმაცია, სსს „ინტერ რაო“-ს პერსონალის მართვისა და ორგანიზაციული განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლების თხოვნის თანახმად, ეგზავნება სსს „ინტერ რაო“-ს პერსონალის მართვისა და ორგანიზაციული განვითარების დეპარტამენტს ელ.ფოსტაზე: <a href="mailto:seredkin_ov@interrao.ru">seredkin_ov@interrao.ru</a> და <a href="mailto:ak@interrao.ru">ak@interrao.ru</a> მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს წინამდებარე გადაწყვეტილების 2.1 პუნქტის შესაბამისად ცვლილებების განხორციელებას.</p> <p><b>შესრულებულია</b> საჭირო ინფორმაცია, სსს „ინტერ რაო“-ს პერსონალის მართვისა და ორგანიზაციული განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლების თხოვნის თანახმად, ეგზავნება სსს „ინტერ რაო“-ს პერსონალის მართვისა და ორგანიზაციული განვითარების დეპარტამენტს ელ.ფოსტაზე: <a href="mailto:seredkin_ov@interrao.ru">seredkin_ov@interrao.ru</a> და <a href="mailto:ak@interrao.ru">ak@interrao.ru</a> მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ცვლილებების განხორციელებას.</p> <p><b>შესრულებულია</b> წარმოებს კონტროლის უზრუნველყოფა, ყოველწლიურად</p>

სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2015

	<p>2.4.2. ხელახლა შევსებული ცნობა (ადრე წარდგენილი ცნობების ცვლილების შემთხვევაში), ამგვარი ცვლილებების დღიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში.</p> <p>გადაწყვეტილება 2 დაევალოს სს „თელასის“ გენერალურ დირექტორს:</p> <p>2.1. ყოველთვიურად, ყოველი თვის 25 რიცხვამდე, საზოგადოების, აგრეთვე მისი ყველა დონის შდს-ს/დშს-ს და იმ კომპანიების მესაკუთრე აქციონერების (მონაწილეების) ჯაჭვის შესახებ ცნობების გახსნის უზრუნველყოფა, სადაც საზოგადოება და მისი შდს/დშს ფლობენ ნებისმიერ წილს საბოლოო ბენეფიციარამდე (მოსარგებლემდე), და აღნიშნული ცნობების #3 დანართით განსაზღვრული ფორმით წარდგენა შპს „ინტერ რაო ეეს ფინანსში“.</p> <p>2.2. საზოგადოების, აგრეთვე მისი ყველა დონის შდს-ს/დშს-ს და იმ კომპანიების მესაკუთრე აქციონერების (მონაწილეების) ჯაჭვის შესახებ ცნობების ცვლილების შემთხვევაში, სადაც საზოგადოება და მისი შდს/დშს ფლობენ ნებისმიერ წილს საბოლოო ბენეფიციარამდე (მოსარგებლემდე), ცნობების წარდგენა ამგვარი ცვლილებების შესახებ შპს „ინტერრაოეესფინანსში“, არაუგვიანეს 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში იმ მომდენტთან, როდესაც საზოგადოებამ შეიტყო ან უნდა შეეტყო შესაბამისი ცვლილებების შესახებ.</p>	<p>სსს „ინტერ რაო“-ს პერსონალის მართვისა და ორგანიზაციული განვითარების დეპარტამენტს ელ.ფოსტაზე: <a href="mailto:seredkin_ov@interrao.ru">seredkin_ov@interrao.ru</a> და <a href="mailto:ak@interrao.ru">ak@interrao.ru</a> ეგზავნება ცნობები და თანხმობები მოთხოვნის შესაბამისად.</p> <p>ცვლილებები შეტანილ იქნა, ინფორმაცია გაიგზავნა 05.01.2016წ.</p> <p style="text-align: center;"><b>შესრულებულია</b></p> <p>საჭირო ინფორმაცია ეგზავნება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „ინტერ რაო - შესყიდვების მართვის ცენტრი“ ელ. ფოსტაზე: <a href="mailto:medvedkin_da@interrao.ru">medvedkin_da@interrao.ru</a>.</p> <p>ცვლილებები არ არის შეტანილი</p>
<b>2013 წლის 16 იანვრის ოქმი 88</b>		
<p>საკითხი 3. საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის შესახებ: ISO 14001:2004-ს</p>	<p>1. განისაზღვროს, რომ ISO 14001:2004-ს შესაბამისად სს „თელასის“ ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემების შემუშავება, დანერგვა და სერტიფიცირება წარმოადგენს საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებას.</p>	<p>შესრულებულია 2015 წლის 8 ივნისს კომპანიამ მიიღო ეკოლოგიური მენეჯმენტის სერტიფიკატი ISO 14001:2004-ის შესაბამისობაზე.</p>

სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2015

შესაბამისად სს „თელასის“ ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემების შემუშავების, დანერგვისა და სერტიფიცირების შესახებ	2. დაევალოს სს „თელასის“ გენერალურ დირექტორს: 2.2. 2015 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყოს ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის სერტიფიცირება ISO 14001:2004-ის შესაბამისობაზე.	
<b>2014 წლის 18 დეკემბრის ოქმი 128</b>		
საკითხი 2: სს „თელასის“ კრიტიკული რისკების რუკისა და კრიტიკული რისკების მართვის ღონისძიებების 2015 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ.	1. დაევალოს სს „თელასის“ გენერალურ დირექტორს, 2015 წლის 30 იანვრამდე, დეტალურად შეიმუშავოს სასარგებლო გაშვების შემცირების რისკის მართვის ღონისძიებების გეგმა, და სამეთვალყურეო საბჭოს განსახილველად წარუდგინოს შიდა აუდიტის, კონტროლინგის და რისკების მართვის ბლოკის შეთანხმებული პოზიცია.	შესრულებულია სამეთვალყურეო საბჭოს 05.02.2015 წლის ოქმი #131
<b>2015 წლის 5 თებერვლის ოქმი 131</b>		
საკითხი 1. საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის შესახებ: საზოგადოების აქციონერთა წლიური საერთო კრების მომზადების და ჩატარების გრაფიკის დამტკიცების შესახებ	3. დაევალოს საზოგადოების გენერალურ დირექტორს, უზრუნველყოს კრების მოწვევა და ჩატარება 2014 წლის შედეგების მიხედვით საზოგადოების აქციონერთა წლიური საერთო კრების მომზადებისა და ჩატარების გრაფიკით დადგენილ ვადებში.	შესრულებულია 2015 წლის 22 მაისს ჩატარდა აქციონერთა წლიური საერთო კრება.
<b>2015 წლის 6 მარტის ოქმი 133</b>		
საკითხი 5: საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების თაობაზე საზოგადოების აქციონერების შეტყობინების წესის განსაზღვრის შესახებ	1. დამტკიცდეს სს „თელასის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების შესახებ შეტყობინების ფორმა და ტექსტი #1 დანართის თანახმად. 2. განისაზღვროს, რომ სს „თელასის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების შესახებ შეტყობინება ქვეყნდება საზოგადოების მიერ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში, აგრეთვე ინტერნეტში საზოგადოების ვებ-გვერდზე, არაუგვიანეს 2015 წლის	შესრულებულია <a href="http://www.matsne.gov.ge">www.matsne.gov.ge</a> 11.03.2015წ. <a href="http://www.telasi.ge">www.telasi.ge</a> 10.03.2015წ.

სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2015

	<p>13 მარტისა. 3. დაევალოს სს „თელასის“ გენერალურ დირექტორს (ს. კობცევს), უზრუნველყოს სს „თელასის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების შესახებ შეტყობინების გამოქვეყნება წინამდებარე გადაწყვეტილების შესაბამისად.</p>	
<b>2015 წლის 21 აპრილის ოქმი 135</b>		
<p>საკითხი 5: საზოგადოების აქციონერთა წლიური საერთო კრების ჩატარების თაობაზე საზოგადოების აქციონერების შეტყობინების წესის განსაზღვრის შესახებ</p>	<p>2. განისაზღვროს, რომ სს „თელასის“ აქციონერთა წლიური საერთო კრების ჩატარების შესახებ შეტყობინება ქვეყნდება საზოგადოების მიერ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში, აგრეთვე ინტერნეტში საზოგადოების ვებ-გვერდზე, არაუგვიანეს 2015 წლის 1 მაისისა. 3. დაევალოს სს „თელასის“ გენერალურ დირექტორს (ს. კობცევს), უზრუნველყოს სს „თელასის“ აქციონერთა წლიური საერთო კრების ჩატარების შესახებ შეტყობინების გამოქვეყნება წინამდებარე გადაწყვეტილების შესაბამისად.</p>	<p>შესრულებულია <a href="http://www.matsne.gov.ge">www.matsne.gov.ge</a> 27.04.2015წ. <a href="http://www.telasi.ge">www.telasi.ge</a> 24.04.2015წ</p>
<b>2015 წლის 23 სექტემბრის ოქმი 144</b>		
<p>საკითხი 1.სს „თელასის“ ორგანიზაციული სტრუქტურის წინასწარი მოწონების შესახებ</p>	<p>2. დაევალოს სს „თელასის“ გენერალურ დირექტორს, უზრუნველყოს საზოგადოების ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის დამტკიცება წინამდებარე გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.</p>	<p>შესრულებულია 2015 წლის 2 ოქტომბრის ბრძანება #526</p>
<b>2015 წლის 23 სექტემბრის ოქმი 144</b>		
<p>საკითხი 2. სს „თელასის“ საშტატო განრიგის წინასწარი მოწონების შესახებ</p>	<p>2. დაევალოს სს „თელასის“ გენერალურ დირექტორს, უზრუნველყოს საზოგადოების ახალი საშტატო განრიგის დამტკიცება წინამდებარე გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.</p>	<p>შესრულებულია 2015 წლის 2 ოქტომბრის ბრძანება #526</p>
<b>2015 წლის 4 დეკემბრის ოქმი 147</b>		
<p>საკითხი 1: მაკონტროლებელი პირისათვის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე</p>	<p>დაევალოს სს „თელასის“ გენერალურ დირექტორს, უზრუნველყოს მაკონტროლებელი პირისათვის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გახსნას</p>	<p>ვადა არ დამდგარა</p>

სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2015

<p>გახსნას დაქვემდებარებული ინფორმაციის მიწოდების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე</p>	<p>დაქვემდებარებული ინფორმაციის (კონტროლის ქვეშ მყოფი პირის ან მისი კონტროლის ქვეშ მყოფი პირების მიერ გაგზავნილი შეტყობინებების რაოდენობის შესახებ, მათი ასლების თანდართვით, დებულების 5.5 პუნქტის შესაბამისად გაგზავნილი, გეგმების შესახებ ინფორმაციის გარდა) მიწოდების შესახებ დებულების შესრულების თაობაზე ცნობების ჩართვა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს დავალებების შესრულების შესახებ ანგარიშში, 2016 წლის 1 კვარტლის ანგარიშიდან დაწყებული.</p>	
<p><b>2015 წლის 31 დეკემბრის ოქმი 150</b></p>		
<p>საკითხი 1: სს „თელასის“ ორგანიზაციული სტრუქტურის წინასწარი მოწონების შესახებ</p>	<p>2. დაევალოს სს „თელასის“ გენერალურ დირექტორს, უზრუნველყოს საზოგადოების ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის დამტკიცება წინამდებარე გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.</p>	<p>შესრულებულია სს „თელასის“ 2016 წლის 11 იანვრის ბრძანება #15</p>
<p><b>2015 წლის 31 დეკემბრის ოქმი 150</b></p>		
<p>საკითხი 2: სს „თელასის“ საშტატო განრიგის წინასწარი მოწონების შესახებ</p>	<p>2. დაევალოს სს „თელასის“ გენერალურ დირექტორს, უზრუნველყოს საზოგადოების ახალი საშტატო განრიგის დამტკიცება წინამდებარე გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში</p>	<p>შესრულებულია სს „თელასის“ 2016 წლის 11 იანვრის ბრძანება #15</p>

XXV. დანართი 3 – ინფორმაცია სს „თელასის“ არაპროფილური აქტივების რეალიზაციის შესახებ 2015 წ.

აქტივის დასახელება	საინვენტარო ნომერი (გამოყენების შემთხვევაში)	ბუღალტრული ბალანსის სტრიქონი, სადაც ასახული იყო აქტივი საანგარიშგებო თარიღით, რომელიც წინ უძღვოდა აქტივის რეალიზაციას	ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშები (ანალიტიკის გათვალისწინებით), რომლებზეც ასახულია აქტივის გასვლის შედეგად შემოსავალი და ხარჯი (91.1xxx/91.2xxx)	აქტივის საბალანსო ღირებულება (ლარი)	რეალიზაციის ფაქტიური ღირებულება (ლარი, დღგ-ს ჩათვლით)	რეალიზაციის ფაქტიური ღირებულების გადახრა აქტივის საბალანსო ღირებულებიდან (ლარი)	რეალიზაციის ფაქტიური ღირებულების აქტივის საბალანსო ღირებულებიდან გადახრის მიზეზი
418 კვ.მ-ს მიწის ნაკვეთი ჩხეიძის ქ. #22-ში და მასზე განლაგებული, ამორტიზებული 145 კვ.მ-ს შენობა-ნაგებობა	071885 143019	-	81500017-შემოსავალი-122 476, 96 არაპროფილური ძს-ს რეალიზაცია	19 282 0	167 560	148 278 საზოგადოების სასარგებლოდ	საზოგადოებისთვის ობიექტის საჭიროების არარსებობასთან დაკავშირებით, სს „თელასმა“, 2014 წლიდან დაწყებული, რამდენიმეჯერ მოიმოქმედა მოცემული ობიექტის რეალიზების მცდელობა. ობიექტი რამდენიმეჯერ გატანილ იქნა გასაყიდად, ღია საკონკურსო პროცედურების ჩატარების გზით სასყიდლიანი გასხვისების მიზნით. 2015 წლის 4 მაისის აუქციონზე აქტივი კვლავ იქნა გატანილი გასაყიდად, საწყისი ფასით 167 560 ლარი (დღგ-ს ჩათვლით). შემოვიდა ერთი განაცხადი მონაწილეობაზე შპს „ჯორჯიან ბიზნეს ინვესტიგან“, რომელიც შემდგომ გამოცხადდა აუქციონში გამარჯვებულად, და რომელმაც შეიძინა უძრავი ქონება...

